# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი 3 დეკემბერი 1998 №221 (756) ფასი 50 თეთრი


EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## თურქეთი 103:60 საქართველო

2 დეკემბერი. ბურსა. „ათათურქი". პირველი ტაიმი 43:26

მსაჯები: მოშე ბიტონი (ისრაელი), ნიკოლა ლეპეტჩიჩი (იუგოსლავია)

# თურქ ეთმა ჯანმა ოღლუმ

## გურჯისტანი დააჩოქეს



გიორგი ბიძაშვილი

ბურსადან

თოთხმეტკაციანმა ქართულმა „დესანტმა" თაჩაქინდრულმა დატოვა „ათათურქ სპორ სალონუ". გულმოკლული უმალ განვმარტოვდი და სასტუმროს ჰოლს მივაშურე. აუტანელია ჩემთვის ქუჩაში გასვლა. ძნელია, მშვიდად ვუყურო თურქულ ბაირამს, ქართულ სიამაყეზე აღზევებული ალმაფრენის პიკში რომ იმყოფება. ქუჩაში ხალხი ხარობს, თურქი ხალხი გურჯისტანის დაჩოქებას ზეიმობს...

...და გამჟღავნდა-გაცისკროვნდა სული სრულიად თურქეთისა.

ემოციები, ენით აუწერელი ემოციები ბატონობს ირგვლივ. ეს-ესაა, მოზეიმეთა ნაკადმა ჩემს წინ ჩაიარა. ეროვნულ დროშებს აფრიალებენ და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან თავიანთი გმირების სახელებს. მიხვდებოდით: გმირები სწორედ ამ სიხარულის შემოქმედნი, თურქი კალათბურთელები არიან.

...თამაშამდე სამი საათი რჩებოდა. გულმა არ მომითმინა და „ათათურქის" დარბაზს მივაშურე — ვიფიქრე, თადარიგს ადრიანად დავიჭერ-მეთქი. იქ მისულს ზღვა ხალხი დამხვდა და ერთხანს ჩემი საათის სისწორეში ეჭვიც შემეპარა, მაგრამ რაც შემდეგ ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ბრბო რის ვაი-ვაგლახით გავარღვიე, როგორც იქნა, შიგნით შევაღწიე და გადაჭედილი ტრიბუნების შემხედვარემ გაოცებისგან პირი დავაღე. შემდეგ ისევ საათს დავხედე და... აშკარად ადრეა, სამი საათით ადრე. ალბათ, თამაშის დაწყების დრო შეცვალეს-მეთქი, ესღა მოვისაზრე, თუმცა მყისვე უარვყავი და თავს შემოვწყერი, რა სისულელეებს ფიქრობ-მეთქი. პრეს-ლოჟაში მოკალათებულმა იქაურ კოლეგას ვითარებაში გარკვევა ვთხოვე. ჩვენთან ყოველთვის ასეა, დარბაზი რა ხანია გაივსოო, გარეთ ერთი ამდენი უბილეთო დგასო, ამიხსნა. რაღას ვიზამდი, საქართველოშიც ასე იციან-მეთქი, ვიცრუე და დაიწყო ჯოჯოხეთური სამი საათი, რასაც შემდეგ უფრო უარესი საათნახევარი მოჰყვა — სათამაშო დრო.

მატჩამდე კი, უკვე დაღლილ-დაქანცულს და თურქთა ყიჟინისგან გაყრუებულს, ორჯერ ამიჩქროლდა სისხლი. ერთხელ მაშინ, როცა საქართველოს ჰიმნი აჟღერდა და 5 300-კაციანი (შვიდი ათასიც თავისუფლად იქნებოდა) „ათათურქი" დადუმდა, მეორედ კი, მთელმა დარბაზმა „გურჯისტან, „გურჯისტანო" რომ იხუვლა.

ადვილი წარმოსადგენია ამის შემდეგ, თურქები თავიანთ გუნდს როგორ უქომაგებდნენ. ყოველივეს აღწერა ჩემს ძალას კლემატება და მოკლედ ვიტყვი — არ გაჩერებულან.

იმას, რაც თურქებმა დაგვმართეს, ცოტა ქვემოთ შეიტყობთ, ახლა კი ქართველებზე და მათ მატჩისწინა განწყობაზეც გეტყვით. დილის ვარჯიში, მოსალოდნელი იყო, სროლებით შემოიფარგლა. ჩვენებურები თითქოს ცოტა გახალისებულიყვნენ კიდეც. ვატო ნაცვლიშვილი იქვე სკამზე ჩამომჯდარიყო და, ჯანმრთელობაზე როცა ვკითხე, ფეხი რომ არ მტკიოდეს, ასე ვიჯდებოდიო, აქეთ მკითხა-მიპასუხა. კაპიტნის ტრავმას პაატა გურასპაულიც ძალიან განიცდიდა: ვატო ვერა და ვერ მომჯობინდა და მისი თამაში კვლავაც სათუოა, მეშინია, ტრავმა არ გაუმიზეზღეს და თავი არ დაილუპოს, მაგრამ თავად არ იშლის, უნდა ვითამაშოო, გაიძახის.

რა იცოდა გურასპაულმა, ზედ მატჩის წინ რა ელოდა. თურმე დავით ბერძენიშვილის იმედიც ტყუილად ჰქონია. თბილისიდან დაურეკავთ და უთქვამთ — ფიბამ შემოთვალა, ეგ ბიჭი არ ათამაშოთ, თორემ დაისჯებითო — შვედებთან „ცულლუტობა" არ აპატიეს დათოს. არადა, ბერძენიშვილი მწვრთნელებს სახუთეულოდ ჰყავდათ გამზადებული. სწორედ იქ გადაწყდა, რომ ქართველები არამც თუ წარმატებაზე, არამედ დიდი სხვაობით არწაგებაზეღა თუ იზრუნებდნენ, რაც საბოლოოდ მაინც ვერ აიცილეს.

თამაში ორივე გუნდმა ნერვულად დაიწყო. რამდენიმე უსარგებლო შეტევის შემდეგ პირველი 2 ქულა თურქებმა მიითვალეს — თურქოღლუ ბოისას დაუსხლტა. ამის შემდეგ ზედიზედ სამი შეტევა 212-სანტიმეტრიანმა გიგანტმა ბეშოქმა დაასრულა შედეგიანად. იგი ერთი თავით მაღალი იყო მის მეურვე ჯაფარიძეზე, თუმცა შუალედში ჩაავდო ვატო ნაცვლიშვილმაც, რომელიც მწვრთნელებმა მაინც დააყენეს ხუთეულში. ვერ ვიტყვი, საწყის წუთებში თურქები გვჯობდნენ-მეთქი, ქართველებმა მათ არაერთი შეტევა ჩაუშალეს, მაგრამ რად გინდა: დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. სავარაუდო იყო, რომ სასტარტო ნერვიულობის შემდეგ ჩვენები, ბოლოს და ბოლოს, გაიხსნებოდნენ. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა მოედანზე მაისურაძე და ოთიურიძე გამოჩნდნენ, თუმცა უკვე 10 ქულას — 4:14-ს ვაგებდით.

თურქებმა ეს არ იკმარეს და გააფთრებით შემოგვიტიეს. განსაკუთრებით ბეშოქი და თურქჯანი აქტიურობდნენ, რომელთა წინააღმდეგ ფარზე ჭიდილი მეტისმეტად გართულდა და ჯაფარიძე-ნაცვლიშვილისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა. მეტოქის მწყობრ და გააზრებულ შეტევებს ქართველებიც ასევე პასუხობდნენ და ტაიმის შუაწელისთვის თამაში გათანაბრდა. ეგ არის, 10-ქულიან ჩამორჩენას ვერაფერს ვუხერხებდით — 11:21.

თურქთა მწვრთნელი ერმან ქუნთერი აშკარად უკმაყოფილო იყო თავისი შეგირდების თამაშით და ზედიზედ ორი წუთშესვენება ითხოვა, მაგრამ ამით გურასპაულმა უფრო ისარგებლა და მოედანზე დაბრუნებულმა ქართველებმა უმალ ორი ქულა მიითვალეს. ხოლო როცა პირველ შეტევაში გაქცეულმა ჩხეიძემ ჩატენა, სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა — 24:30.

ეს ტაიმის გასრულებამდე 2 წუთით ადრე მოხდა, მაგრამ ეს იყო და ეს. ჯაფარიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, ბურთისთვის ბოისამ გაიბრძოლა და მესამედ დაჯარიმდა. თურქჯანმა ორივე პერსონალური გამოიყენა და ამით საფუძველი დაუდო ქართველთა რბევას. ხანმოკლე ეპიზოდი თურქებმა 9:0 მოიგეს, ინიციატივას მთლიანად დაეუფლნენ და იმავე თურქჯანის ჩატენვის შემდეგ შესვენებაზე 17-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ.


იხილეთ მეთერთმეტე გვერდი




მირსად თურქჯანი: ქართველთა მთავარი მარბიელი



REUTERS

ბურთისთვის იბრძვიან ჰაქან უნსალი და ჟოსელინ ბლანშარი (№18)

## იუვენტუსის მეხუთე ფრე

B ჯგუფი

**გალათასარაი 1:1 იუვენტუსი**

0:1 ამორუზო (76), 1:1 სუათ ქაია (90)

გალათასარაი: ტაფარელი, პოპესკუ, ბურუქი, ჰაქან შუქური, ჰაჯი, ჰასანი (სუათ ქაია 76), ფათიჰი, თოლუნაი (არიფი 76), უმითი, ფილიპესკუ, ჰაქან უნსალი (ვედათი 89)

იუვენტუსი: პერუცი (რამპულა 58), მონტერო, ფერარა, იულიანო, ბირინდელი, კონტე, დეშამპი, პესოტო (ამორუზო 65), ბლანშარი, ზიდანი, ინძაგი (ტუდორი 79)

„გალათასარაიმ" ივაჟკაცა. მსაჯის დამატებული დროის მესამე წუთზე ანგარიშის გათანაბრებას ოსტატობა და, რა თქმა უნდა, დამარცხების სიძულვილი უნდა. „იუვენტუსის" დაცვამ სტამბოლში თითებზე დასათვლელი შეცდომა დაუშვა და ერთ-ერთით მასპინძლებმა ისარგებლეს კიდეც.

ტურინელები, მოგეხსენებათ, შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავიდნენ თურქეთის დედაქალაქში. დაღლილობა, რასაკვირველია, მათ თამაშს დაღს დაასვამდა, მაგრამ შეუიარაღებელი თვალისთვის ეს შეუმჩნეველი გახლდათ.

იტალიის ჩემპიონმა ორი ტაიმის განმავლობაში თავდადებული და ძალისმიერი ფეხბურთი ითამაშა, თუმცა ალესანდრო დელ პიეროს ტრავმამ გუნდს უდიდესი ძალა რომ გამოაკლო, თვალნათლივ გამოჩნდა. ჯერ ერთი, თავად დელ პიეროს ოსტატობა დააკლდა „ბებერ ქალბატონს" და, გარდა ამისა, მისმა არყოფნამ სათამაშო სქემაში ცვლილებები გამოიწვია. კერძოდ, ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თავდასხმას ფილ ჰპო ინძაგის მეწყვილედ ზინედინ ზიდანი მიაშველა, რითაც გუნდის შემოქმედებითი პოტენციალი სერიოზულად დაკნინდა.

ზიდანმა მაინც მოახერხა უზუსტესი საგოლე პასის გადაწოდება, თუმცა შეცვლაზე შესული ნიკოლო ამორუზოც არანაკლები ოსტატობით გამოეხმაურა მსოფლიოს ჩემპიონს და შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი ბრაზილიელი მეკარის კლაუდიო ტაფარელის კარში.

აქ ლიპიმ ანგარიშის შენარჩუნებისა და დაცვის გაძლიერების მიზნით ინძაგის ნაცვლად იგორ ტუდორი შეუშვა მინდორზე და სწორედ ამან დასაჯა.

თურქთა ჯარიმიდან ჩაწოდებულს ტუდორმა უხეიროდ დაჰკრა თავი, ბურთი მასპინძლებისთვის სახეირო ადგილას გაიტანა და ერთობ დაბალ სუათ ქაიას თავურით გაქვითვის საშუალება მისცა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| იუვენტუსი | 5 | 0 | 5 | 0 | 5:5 | 5 |
| ბილბაო | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |

## შეურაცხყოფა საერთოა!

გუშინ ჟურნალისტის სახლში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რიგგარეშე კონფერენცია ჩატარდა. სპორტული მედიის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ამ ბოლო დროს საფეხბურთო გაზეთ „11X11"-ში გამოქვეყნებულ ნოდარ კობერიძის წერილების შესახებ, რომლებშიც ათასგვარ ლვარძლიან გამოხდომასთან ერთად იყო სრულიად უსაფუძვლო, აბსურდული, ცილისმწამებლური ბრალდებანი სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა ბერიშვილის მიმართ.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს, რომ მსგავს ქმედებებს ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვს და ნოდარ კობერიძემ ხსენებული გაზეთის საშუალებით შეურაცხყოფა მიაყენა არა მხოლოდ ასოციაციის პრეზიდენტს, არამედ მასში გაერთიანებულ სპორტული მედიის წარმომადგენლებს.

# განვლილი გზის დასაწყისი

1994 წლის 11 ივნისი. ნიგერიელი სუპერარწივები 50 ათასი მხარდამჭერის თვალწინ საქართველოს ეროვნულ გუნდს ანადგურებდნენ. „ლიბერტი სტადიუმის“ სარბენ ბილიკზე ქართველთა სათადარიგო მეკარე სოსო გრიშიკაშვილი გამოჩნდა. უიმედოდ წაგებული შეხვედრის ბოლო 15 წუთში მას უწევდა იეკინის, ამოკაჩის და სხვების შეტევათა მოგერიება.

როცა გუნდი ფსიქოლოგიურად მოშლილია და მინდორზე მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით დარჩენილა, მაშინ საერთოდ რაზეა ლაპარაკი. სოსოც უშიშრად ჩადგა კარში. 5:1-ს ვაგებდით, გასაშვები უკვე გასულიყო. სხვაც არაფერი მოხდებოდა.

გაუძლო გრიშიკაშვილმა იმ თხუთმეტწუთეულს. ის კი არა, 85-ე წუთზე ალმაფრენით მოთამაშე რაშიდ იეკინის პენალტიც კი აუღო. ეს იყო სოსო გრიშიკაშვილის პირველი ნათლობა ეროვნულ გუნდში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. სპეციალისტების მიერ იმედისმომცემ მეკარედ აღიარებულმა გრიშიკაშვილმაც სრულყოფისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა. უთამაშია საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფში. სწორედ „შუამთაში“ შეამჩნიეს სხარტი პატარა ბიჭი თელავის „კახეთის“ ხელმძღვანელებმა. მერე იყო „კახეთი“ და პირველი ჯგუფი. ჩემპიონატში საშუალო გუნდად მონათლულ „კახეთში“ გრიშიკაშვილს სამუშაო და სათამაშო პრაქტიკა არ მოჰკლებია. ის დროც წარსულს ჩაბარდა და რეზო ძოძუაშვილმა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ „გორდაში“ უკრა თავი.

არ ვიცით, როგორ მოხვდა ჩვენებური მეკარე ვალერი გაზაევის რჩეულთა სიაში, მაგრამ „ალანიის“ თავკაცმა გრიშიკაშვილი სათავისოდ და ზაურ ხაპოვის შემცვლელად დაიგულა.

სწორედ მაშინ დაუშვა გრიშიკაშვილმა დღემდე უპატიებელი შეცდომა. ძირითადიდან სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლებამ მასზე დამღუპველად იმოქმედა. სათამაშო პრაქტიკა მოაკლდა, ეროვნული ნაკრების კარიც დაიხურა მისთვის და თითქმის ყველამ დაივიწყა. მერე იყო ფსიქოლოგიური სტრესიც, კონფლიქტი ვალერი გაზაევთან და ბურუსით მოცული მომავალი.

*— ხომ იცით, კაცი ახალ საქმეს რომ შეეჭიდება, თავისთავად ნათელ ფერებში ეხატება მომავალი. ასე ყიყავი მეც. ერთი წუთით არ მიფიქრია წინაალმდეგობებზე. წინასწარი შეთანხმებით, ხაპოვი უცხოეთში მიდიოდა და ძირითადში უნდა მეთამაშა. მოხდა ისე, რომ ხაპოვი დარჩა. ძლიერადაც ათამაშდა, ფაქტობრივად უშეცდომოდ ჩაამთავრა ჩემპიონატი. მე ველოდი ჩემს შანსს, მაგრამ არ იქნა და არ დამდგა საშველი. მარტო ვარჯიშით კი ფორმის შენარჩუნება ფაქტობრივად შეუძლებელია...*

ეს სიტყვები გრიშიკაშვილმა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ გვითხრა. ეს მაშინ, როცა თამაშს ფაქტობრივად თავიდან იწყებდა.

მხსნელად ისევ რეზო ძოძუაშვილი მოევლინა. სულიერად გატეხილი მეკარე რიგის „სკონტოში“ წაიყვანა, იქ, სადაც რაიმონდ ლაიზანსი „ბატონობდა“. ბუნებრივია, დიდი ხნის უთამაშებელი ჩვენებური რიგელს სოლიდურ კონკურენციას ვერაფრით გაუწევდა. იყო ორი ვარიანტი, ან დარჩენილიყო ისევ სათადარიგოდ და თავისი საფეხბურთო კარიერაც ნაადრევად დაესრულებინა, ანაც სხვა ლატვიურ გუნდში გადასულიყო.

გრიშიკაშვილმა საბედისწერო შეცდომა მეორედ აღარ დაუშვა. „სკონტოდან“ „ვენტსპილში“ გაანათხოვრეს.

და დაიწყო ის აღმართი, რომელიც წესითა და რიგით გრიშიკაშვილს ადრეც უნდა ჰქონოდა გავლილი. თანდათან საქმეები აეწყო. გრიშიკაშვილმა ძირითადში ფეხი მყარად მოიკიდა და დაკარგულის აღდგენასაც შეუდგა.

ისევ გაიხსენეს ნაკრების თავკაცებმა. გამოიძახეს ერთხელ, მეორედ განჯაში იხმეს და აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან 1:0 რომ დავმარცხდით, კარში გრიშიკაშვილი იდგა.

ვლადიმერ გუცაევი სოსოს ლატვიურ შეკრებაზეც დაკვირვებია — ვარჯიშებზე მისი გარჯა მომეწონა და ესტონეთთან ამიტომაც მოვიწვიეო.

ტაიმნახევარი ვუყურებდით 18 ნოემბერს გრიშიკაშვილის თამაშს. ესტონელთა ეროვნული გუნდი, რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეებს ვერ უქმნიდა ქართველთა დაცვას, მაგრამ სოსომ რამდენიმე მომენტში დამარჯვებლად ითამაშა. ის გრიშიკაშვილი გაგვახსენდა, როცა სპეციალისტები ამბობდნენ, ეროვნულ ნაკრებში, აკაკი დევაძის და ირაკლი ზოიძის, საიმედო შემცვლელი გვეზრდებაო.



სოსო გრიშიკაშვილს საქართველოს ნაკრებში თამაში მოსწყურდა

სოსო გრიშიკაშვილი ჯერაც არ არის საუკეთესო ფორმაში. მის წინ ისევ აღმართია, მაგრამ უკვე ფეხი ფერზე როდი იმყოფება, სადღაც შუა გზაზეა.

თავის დროზე გრიშიკაშვილი ძლიერად თამაშობდა ხაზზე, გამოსვლებზეც სოლიდურად გამოიყურებოდა და რაც მთავარია, შეეძლო საჯარიმოში შექმნილი სახიფათო მომენტის სწორად შეფასება. იგი ერთ-ერთი იშვიათთაგანია ახლანდელ ქართველ მეკარეთაგან, რომელთაც მთელი საჯარიმოს კონტროლი ხელეწიფებათ. რომ არა ფუჭად დაკარგული დრო, ის უკვე დალვინებული გოლკიპერი იქნებოდა.

გრიშიკაშვილს წლის ბოლო დღეს 26 წელი შეუსრულდება. ეს ის ასაკია, როცა მეკარეს კარიერის საუკეთესო დრო ეწყება. გამოდის, რომ სოსოს ჯერაც ყველაფერი წინა აქვს. ნიჭი არსად დაიკარგება, ნიჭიერებას ფართო გზას უმლიან. გრიშიკაშვილს შრომა არასდროს დაზარებია, გამოცდილებაც საკმაო დაუგროვდა ამ ხნის მანძილზე. ერთადერთი, რაც მას სჭირდება, სოლიდური გუნდი და შეუცვლელი თამაშია. იპოვის კი სოსო სასურველ კლუბს?

ახლა ძნელია, ამ კითხვას სწორი პასუხი გაეცეს, მით უმეტეს, როცა ახალი გუნდი უკვე ნაპოვნია. ლატვიური ეპოპეა დამთავრდა. გრიშიკაშვილი უკვე გათელილ ბილიკს დაადგება. მისთვის იქ ყველაფერი ნაცნობია — გუნდი, მწვრთნელი, სტადიონი, სავარჯიშო ბაზა. სოსო „ალანიას“ უბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, როგორც თავად თქვა, საქმე 90 პროცენტით გადაწყვეტილია.

ვლადიკავკაზში მხოლოდ ვალერი გაზაევია ძველებიდან, გუნდი გადახალისდა და შეიცვალა, თუმც ქართველი უცხოდ ვერ იგრძნობს თავს, გიორგი დემეტრაძე და მამუკა წერეთელი „ალანიაში“ არიან.

ალბათ, სოსომ იცის, რასაც აკეთებს. ახლა ასაკმომატებული და გამოცდილია. ალბათ, გაზაევმაც ბევრი იფიქრა, სანამ მორიგ არჩევანს გააკეთებდა.

ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენებურის „ალანიაში“ მეორედ მიბრუნება, პირველ ყოვლისა, სოსოსთვის იქნება ფეხბედნიერი. სხვაგვარად საქმე ვერ აეწყობა, შანსის ხელმეორედ დაკარგვა კარიერის დასრულების ტოლფასია. არადა, გრიშიკაშვილი რომ ხელწამოსაკრავი მეკარე არაა, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ.

**მამუკა კვანტალიანი**

# ორი უარის შემდეგ

სამტრედიელთა გასაჭირზე ადრეც ვიუწყებოდით. პირველი წრის დასრულების შემდეგ, როცა გუნდების უმეტესობა სასურველი ფეხბურთელების გადაბირებას ცდილობს, „იბერია“ მწვრთნელის ძიებაშია. სამტრედიელები უთავკაცოდ არიან, ბადრი ქორიძის გუნდიდან წასვლის შემდეგ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ანატოლი მესიაჩენკო ასრულებდა და პირველი წრეც მან ჩაამთავრა. რამდენიმე დღის წინ სამტრედიელთა პრობლემას თითქოს მოგვარებაც ეწერა — სეზონის წინ ამბიციამოჭარბებული „იბერია“ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელს ვახტანგ კოპალეიშვილს დაუკავშირდა და მთავარი მწვრთნელის ვაკანტური ადგილი შესთავაზა. თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, კოპალეიშვილმა დასავლელებს თავაზიანი უარი შეუთვალა. ამის მოსმენა „იბერიას“ პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლეიშვილს კიდევ ერთხელ მოუხდა — ამჯერად სამტრედილები ბოლნისის „სიონის“ ყოფილმა თავკაცმა ანზორ გძელიძემ დაამწუხრა. იგი ბავშვთა კლუბ „ახტალას“ წვრთნის და გურჯაანელებთან დადებული სამწლიანი კონტრაქტის გაწყვეტა არ ისურვა. მოკლედ, „იბერია“ კვლავაც პრობლემის წინაშე დგას. თუმცა მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, სამტრედიელებს მესამედ გაუმართლებთ — ამბობენ, ჯონი ჯანელიძე უმუშევარი დიდხანს არ რჩებაო.

**პაატა კვანტალიანი**

# ძნელაძის გარდა სიონს სხვებიც დააკლდებიან

ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე 30 ნოემბერს დასრულდა და ქართული ფეხბურთიც გაზაფხულამდე ღრმა ძილს მიეცა. მართალია, აქა-იქ გუნდები მოსამზადებელ პერიოდს გაივლიან, საკონტროლო თამაშებსაც ჩაატარებენ, მაგრამ სეზონის განახლება მაინც სხვა საქმეა.

ბოლნისის „სიონმა“ პირველი წრე, ავად თუ კარგად, ჩაამთავრა, ალბათ, გახსოვთ, როგორ უხეიროდ დაიწყო გუნდმა სეზონი, ერთი ხანობა სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილსაც ვერ სცილდებოდა. მერე ბოლნისელები დაფაცურდნენ და საშველად „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილ მწვრთნელს სპარტაკ არჩვაძეს უხმეს. არჩვაძეც მივიდა გუნდში, ყველაფერი აწონ-დაწონა და შედეგიც სახეზეა. მის ხელში ბოლნისელებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშიათ, იყო მატჩები, რომლებიც „სიონმა“ ზედიზედ მოიგო. ამას ის მოჰყვა, რომ გუნდმა პირველი წრის შემდეგ მეთექვსმეტე ადგილიდან ოთხი საფეხურით აინაცვლა. ჩვენში დღეს არავის ულხინს, გამონაკლისი არც ბოლნისელები არიან, თუმცა გულხელდაკრეფილნიც არ არიან. ამას მათი თავკაცის სპარტაკ არჩვაძის ნაუბარიც ადასტურებს:

— ფეხბურთელებს, ვინც გუნდში მყავს, ყველას 1 დეკემბერს შევკრებ (არჩვაძესთან საუბარი ადრე შედგა — გ. ვ.) და ორკვირიან შვებულებაში გავუშვებ. 15-დან კი მეორე წრისთვის მზადებას დავიწყებთ. ჯერჯერობით გუნდის დატოვების სურვილი გიორგი ძნელაძემ გამოთქვა, მან თავად ისურვა „სიონიდან“ წასვლა. ისე არ გაიგოთ, თითქოს მარტო „კაუჩუკა“ გვტოვებს, შევხედავთ, თუ სხვები ვერ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს, გავუშვებთ. გვინდა, შევიმუშაოთ გეგმა, რომლის მოსამზადებელი პერიოდის პირველი ეტაპიც ადგილზე გავლა იქნება, შემდეგ კი თბილისში გადმოვინაცვლებთ და კუს ტბაზე და მანეჟში გავაგრძელებთ მზადებას. დღესდღეობით გუნდში ყველა ჯანზეა, მხოლოდ მეკარე თემურ ვოლკოვს აწუხებს ხელის ტრავმა, რომელიც ქუთაისში „ტორპედოსთან“ მატჩისას მიიღო.

**გიორგი ვაშაკიძე**



ტულუში „ბათუმს“ თასის და ჩემპიონატის ორ-ორ მატჩში დააკლდება

# დაისვენეთ ბიჭებო

საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის გასრულებას გუშინ ფედერაციაში გამართული სადისციპლინო კომისიის ბოლო სხდომა მოჰყვა. ბოლო წლეულს, თორემ ქართულ ფეხბურთში აურზაურს და უწესრიგობას რა გამოლევს და „განაჩენის გამომტანნიც“ გაზაფხულიდან, ალბათ, გაორმაგებული ენერგიით შეუდგებიან მუშაობას.

გუშინდელი სხდომის საბოლოო ვერდიქტი კი ასეთი იყო: მოწინააღმდეგესთან ჩხუბისთვის ბათუმელ თემურ ტულუშს ოთხი თამაშით მიეცა დსკვალიფიკაცია. მეორე წრის პირველ ოთხ შეხვედრაში გორის „დილა“ მიხეილ თაყაძეს მოისაკლისებს, ამდენივე გაუცდება „მერანში“ მოთამაშე გელა ქორიძესაც. მიზეზი ამ ორი გუნდის ბოლო ტურის შეხვედრაში მომხდარი ინციდენტია. მაშინ თაყაძეს და ქორიძეს „გადაავიწყდათ“, რომ საფეხბურთო მინდორზე იმყოფებოდნენ და თავ-პირიც გვარიანად შეულამაზეს ერთმანეთს.

ისე, თაყაძემ იკითხოს, თორემ გელა ქორიძეს და თემურ ტულუშს რა უჭირთ. ამათ სათვალავში ჩემპიონატის განახლებამდე თასის მეოთხედფინალის ორი გამოტოვებული შეხვედრაც ჩაეთვლებათ.

მსაჯის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას შორის, რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა და ჩვენშიც დებულების თანახმად ორივე დარღვევა სხვადასხვაგვარად ისჯება. „ტორპედო“ — „სიონის“ მეთხუთმეტე ტურის შეხვედრაში ბოლნისელთა მეკარე ვოლკოვს მსაჯის კეთილისმყოფელთა „გულიანი მოკითხვისთვის“ ხელიც რომ წაეშველებინა, „სიონი“ სამ ქულას დაკარგავდა, ხოლო ვოლკოვი ერთწლიან პირობით დისკვალიფიკაციას მიიღებდა. საბედნიეროდ, იმ დღეს ბოლნისელთა კარის დარაჯი ზედმეტად აღარ გარჯილა. „დისციპლინარებმა“ ისიც გაითვალისწინეს, რომ ჩვენში მსაჯებს გარკვეულწილად ლანძღვაგინების იმუნიტეტი აქვთ გამომუშავებული და ვოლკოვიც ორ თამაშში უსაქმოდ დატოვეს. ამდენივე შეხვედრას გამოტოვებენ მეორე ჯგუფში მონაწილე ფეხბურთელები: სოხაძე, თაბუკაშვილი (ორივე „ხალიბი“), მაჭარაშვილი („ალგეთი“) და ახალაია („დინამო 3“)

ისე, თუ მეორე წრიდან ჩვენი მოთამაშეები მოედენზე ფეხბურთის გარდა სხვა საქმითაც დაკავდებიან, შეუძლიათ მშვიდად იყვენენ, დიდად არც გუნდს დააზარალებენ, თანაც ზოგს დასვენებაც გვარიანად უხდება.

**პაატა კვანტალიანი**

# უცნაური არჩევანი




ქებაძე ზესტაფონისკენ იყურება, არადა ელისტას ელიან

ჯერ არვინ უწყის, როგორ გადაწყდება ქუთაისის „ტორპედოს“ ნახევარმცველის ლევან ქებაძის საკითხი, თუმცა, ფაქტია, „კოლხეთთან“ სათასო, სეზონის ბოლო მატჩის შემდეგ ფეხბურთელმა გუნდიდან წასვლის ნებართვა ითხოვა. ქებაძეს მეორეჯგუფელ „მარგვეთში“ დაბრუნება განუზრახავს, კლუბში, საიდანაც იგი ამ ორი წლის წინ „ტორპედოში“ მოვიდა. დაგვეთანხმებით, უცნაური არჩევანია.

ამბობენ, ქებაძე მრავალ ჭირ-ვარამს გამოვლილ ზესტაფონელთა პრეზიდენტ ვასო ხაჭაპურიძისგან არის დავალებული და ამიტომაც ვერ უტეხს ხათრსო. შესაძლოა, ასეც იყოს, ოღონდ ქებაძე „ტორპედოს“ ასე იოლად ვერ დაეხსნება. ქუთაისელთა ექს-პრეზიდენტის ბესო ჯიქიას თქმით, ქებაძის „მარგვეთში“ მიბრუნება სოლიდურ თანხასთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან ფეხბურთელს ქუთაისში სრულად აქვს აღებული საკონტრაქტო, თანაც ჰოლანდია, ბელგია, ყალმუხეთი „ტორპედოს“ ხარჯით მოიარა და ორი სერიოზული ტრავმა ქუთაისური კლუბის ხარჯითვე იმკურნალა. ესეც რომ არა, — გვითხრა ბესო ჯიქიამ — არსებობს სიტყვიერი შეთანხმება და ქებაძეს ამ თვეში ელისტაში მიელიან, ახლა კი განსაჯეთ, სად „მარგვეთი“ და სად „ურალანი“.

**იუზა ქაციტაძე**

# ამაშუკელი რუსეთს ეშურება

ბესიკ ამაშუკელი, ვინც პირველი წრე სამტრედიის „იბერიას“ რიგებში ჩაამთავრა, თანაგუნდელ დავით ხუჭუასთან ერთად ისრაელს გაეშურა და იქ შეეცადა ფეხის მოკიდებას. ახლახან ამაშუკელი სამშობლოს დაუბრუნდა და როგორც თვითონ გვითხრა, „ისრაელური ვარიანტი“ არ შედგა.

— რაკი ისრაელში თამაშის შანსი აღარა მაქვს, გადავწყვიტე, ისევ რუსეთს მივაშურო. აქ კი, ჩვენში, გამჩერებელი ნაღდად არ ვარ. საქართველოში ფეხბურთის თამაშს აზრი არა აქვს — საბოლოოდ ჩაუქნევია ბესიკს ხელი ეროვნულ ჩემპიონატზე.

# ტორპედო — დინამოს დუელში ამჯერად ქუთაისელებმა იმარჯვეს

## ხვადაგიანმა «დინამოს» «ტორპედო» არჩია

მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდა, გუნდები შვებულებაში გავიდნენ, ფეხბურთელები კი სარფიან პირობებს ეძებენ და შესაძლებლობა გამოუჩნდებათ თუ არა, დაუხანებლად გადადიან კლუბიდან კლუბში.

წლევანდელი ჩემპიონატის ინტრიგის შემნარჩუნებელმა ქუთაისის „ტორპედომ“ სამორეწრეოდ გაძლიერება გადაწყვიტა და



ხვადაგიანი (ზევით) დაბრუნდა

საქმესაც შეუდგა. გიორგი გოგიაშვილის და მამუკა ხუნდაძის შესახებ გამცნეთ კიდეც. თუკი ისინი „ტორპედოს“ ხელმძღვანელებთან შეთანხმდებიან, გუნდშიც მოხვდებიან. რაც შეეხებათ ლევან ქებაძესა და დავით ჯანაშიას, მათი საკითხი მაშინ მოგვარდება, როცა „ტორპედო“ შეიკრიბება.

ერთის თქმა კი ნამდვილად შეიძლება: „ტორპედოს“ ოსეთმოვლილი ერთ დროს დაცვის ბურჯი ვახტანგ ხვადაგიანი დაუბრუნდა. მას შარშან ვლადიკავკაზის „ალანიამ“ დაადგა თვალი და წაიყვანა კიდეც, აქ კი სატრანსფერო თანხის გადაუხდელობამ იჩინა თავი, გაზაევმა ვახო აითვალწუნა და ჩვენებურმაც უკან დაბრუნება ამჯობინა, თუმცა სატრანსფერო ფურცლის უქონლობა მას რომელიმე გუნდში თამაშის უფლებას არ აძლევდა. ბოლოს ეს საქმეც მოგვარდა, მანამდე კი ხვადაგიანმა ეროვნული ნაკრების მაისური მოირგო, როდესაც ქართველებმა შარშან ზამთარში მალტის ტურნირზე „როტმანსის თასი“ დააჭაშნიკეს. ხვადაგიანის უთამაშებლობამ ფაქტობრივად, შვიდ თვეს გასტანა. ახლა კი შვებით ამოისუნთქა — გუშინწინ ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმა „ტორპედოს“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მაისამდე ანუ ჩემპიონატის ბოლომდე „ტორპედოს“ საკუთრებაა. მანამდე ფეხბურთელის გადაბირება „დინამოსაც“ სურდა, მაგრამ მან ქუთაისური კლუბი ირჩია.

ხვადაგიანს არც პირველი სანაკრებო მატჩი დავიწყებია და იმედიც აქვს, რომ ეროვნულ გუნდში ისიც იტყვის თავის სათქმელს, თუმცა არც მალავს, მანამდე ფორმა უნდა აღვიდგინოო.

**გიორგი ვაშაძიძე**

# მართვემ იმარჯვა

ქუთაისში, „დინამოს“ სტადიონზე რამაზ შენგელიას სახელობის საფეხბურთო კლუბის თაოსნობით ჩატარდა მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე ტურნირი 1986-1987 წლებში დაბადებულ ნორჩებს შორის. მონაწილეობდნენ ექვსი ადგილობრივი, თერჯოლის და წყალტუბოს გუნდები.

ფინალურ მატჩში ქვეჯგუფებში გამარჯვებული ქუთაისის განათლების განყოფილების „მართვე“ და რამაზ შენგელიას სახელობის კლუბი „ქუთაისი 94“ შეხვდნენ ერთმანეთს. საოცრად დაძაბული, უშეღავათო ორთაბრძოლა „მართვეს“ (მწვრთნელი მერაბ შანიძე) გამარჯვებით (2:1) დასრულდა და მთავარი პრიზიც ამ გუნდს ერგო. მესამე პრიზიორი თერჯოლის სპორტსკოლის გუნდი გახდა, რომელმაც ძირითადი დროის ფრედ (1:1) დამთავრების შემდეგ პენალტების სერიაში აჯობა ნორჩ ტორპედოელებს.

**იუზა ქაციტაძე**

ოცდაოთხი წლის მიხეილ ქობულაძე ფოთის „კოლხეთის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ქობულაძეს ხან მცველად უხდება თამაში, ხან ფუნა... ანაც წინა საყრდენად. ერთი სიტყვით, იქ, სადაც „კოლხეთს“ სჭირდება. კოლხი მცველის თამაში არც ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ვლადიმერ გუცაევს დარჩენია შეუნიშნავი და ორჯერ ნაკრებშიც მიიწვია ქობულაძე. თუმც თავად ფეხბურთელი ერთხელაც არ გამოცხადდა ეროვნული გუნდის შეკრებაზე. საუბარიც სწორედ ამ უჩვეულო საქციელის მიზეზთა დაზუსტებით დავიწყეთ:

# მიხეილ ქობულაძე: მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ

**— მიშა, შეკრებებზე ორჯერ დაგიძახა გუცაევმა, მაგრამ რატომღაც არ ჩამოხვედი თბილისში, მიზეზზე რას გვეტყვი?**

— მართალია, პირველად რომ გამომიძახეს, ღვიძლი მაწუხებდა, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ეს მაინც არ იყო მთავარი მიზეზი. უფრო იმის გამო მოვერიდე შეკრებაზე ჩამოსვლას, რომ სასურველ ფორმაში არა ვარ. წლეულს ნამდვილად ვერ ვატარებ საუკეთესო სეზონს, ახლახან ცოლიც შევირთე და, ეტყობა, ამანაც თავისებურად იმოქმედა, ცოტათი ვარჯიშების რიტმიდან ამოვვარდი. ერთი სიტყვით, ჩავთვალე, რომ ამ ეტაპზე ნაკრების მოთხოვნებს ვერ დავაკმაყოფილებდი.

**— ვარჯიშები ახსენე. ვიცით, რომ ამ ბოლო დროს „კოლხეთს“ ფინანსურად გაუჭირდა, ის კი არა, თბილისის „დინამოსთან“ სათამაშოდ ჩამოსვლას არც აპირებდით თურმე, უფულობამ ვარჯიშების ციკლის ჩაშლაც ხომ არ გამოიწვია?**

— არა, მართალია, საკონტრაქტო თანხები არ აგვიღია მთლიანად, პრემიალურებიც დაგვიგვიანეს, მაგრამ ვარჯიშები ჯერაც ნორმალურად გვიტარდება. რაც შეეხება „დინამოსთან“ შეხვედრას, მართლაც არ ვაპირებდით ამ მატჩზე ჩამოსვლას მერე გუნდის პრეზიდენტის თხოვნას ანგარიში გავუწიეთ და აი, ვითამაშეთ კიდეც...

**— ითამაშეთ, მაგრამ 1:6 დამარცხდით.**

— მწარედ დამამახსოვრდება ეს შეხვედრა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ანგარიშით წავაგეთ, თვითონ ჩემმა სუსტმა თამაშმაც დამწყვიტა გული. ხედავდით, ალბათ, ალექსიძის წინააღმდეგ ვთამაშობდი, მან კი სამი გოლი გაიტანა, სამჯერაც საგოლე სიტუაცია შექმნა. შეიძლება ითქვას, მარტოკამ მოიგო თამაში. დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.

**— არა მარტო ამ მატჩში, მთლიანად პირველ წრეში ვერ გამოიყურებოდა „კოლხეთი“ ძველებურად, ამას როგორ ახსნი?**

— განწყობა ვერ არის გუნდში სათანადო. ფინანსური გაჭირვებაც თავისას აკეთებს და ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მზადყოფნაც არა მგონია, სასურველი იყოს „კოლხეთში“.

**მიუხედავად ამისა, „კოლხეთმა“ პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა, ეგ არის,მეორეადგილოსან „ტორპედოს“ რვა ქულით ჩამორჩებით. ეს კი, დამერწმუნები, არ არის ცოტა. როგორ ფიქრობ, მაინც რომელ ადგილს დაიკავებს „კოლხეთი“ ამ სეზონში?**

— მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ. იმედი არ დაგვიკარგავს. გაზაფხულამდე და მეორე წრის დასაწყისამდე ჯერ შორია, დავისვენებთ, გავაანალიზებთ ყველაფერს. იმედია, პრობლემებსაც მოევლება და „კოლხეთიც“ თავის სათქმელს იტყვის.

**— თასზეც არ წაგივიდათ კარგად საქმე. „ტორპედომ“ 3:1 ამოგიქაჩათ და მერე ოქროს გოლით გამოგთიშათ კიდეც გათამაშებიდან.**

— არ უნდა დავმარცხებულიყავით ასეთი ანგარიშით. სუსტად ვითამაშეთ. ქუთაისელებსაც თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ. მეტს ვერაფერს გეტყვით იმ თამაშზე — დამარცხების მიზეზი ისევ ჩვენი, ფეხბურთელების სუსტ გარჯაშია საძიებელი.

**— მიშა, „კოლხეთში“ განწყობა ვერ არის სათანადოო, მითხარი, პირველი ჯგუფის თითქმის ყველა გუნდში არსებობს ამგვარი „ჭირი“, მიაჩნიათ, რომ ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონე განაპირობებს ყოველივეს...**

— თუ ძლიერი ჩემპიონატი გვსურს, პირველ ჯგუფში მოთამაშე გუნდების რიცხვი უნდა შემცირდეს. შესაბამისად მოიმატებს საინტერესო მატჩების რაოდენობა, მაყურებლის რიცხვიც გაიზრდება, ერთი სიტყვით, ჩემპიონატი ჩემპიონატს დაემსგავსება.



კოშმარი — „ცრვენა ზვეზდა“ მიხეილ ქობულაძესაც „დაესიზმრა“

ვაჟა ილაშვილის ფოტო

**— სამტრედიის „იბერიასთან“ საყრდენ ნახევარმცველად ითამაშე, იყო მატჩები, როცა დაცვის ფრთაზეც გამოდიოდი. ისე, ნომინალურად ცენტრალური მცველი ხარ. რა ვიფიქროთ, უნივერსალია მიხეილ ქობულაძე?**

— უნივერსალობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დაცვაში მართლაც ყველგან მითამაშია, ფრთაზეც, ცენტრშიც, პერსონალურად რომელიმე ფეხბურთელზეც. ისე კი, მართალი თქვით, ცენტრალური მცველი უფრო ვარ, უმეტეს მატჩებში სწორედ დაცვის ცენტრში მითამაშია.

**— როგორ ფიქრობ, ფოთის „კოლხეთის“ რომელი რგოლი გამოირჩევა სხვათაგან და თუ ფიქრობს გუნდის ხელმძღვანელობა დამატებულთა ხარჯზე სხვა რგოლების გაძლიერებას?**

— ერთ-ორ ფეხბურთელს, ალბათ, ყველა რგოლში დავიმატებთ. „კოლხეთი“ სტაბილური შემადგენლობის მქონე გუნდია, თითქმის თანაბარი დონის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ამიტომ რომელიმე რგოლის, ანაც ფეხბურთელის გამოყოფა გამიჭირდება.

**— მიშა, სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი, მიწვევები ხომ არ გაქვს ან ჩვენში, ან სხვაგან სადმე?**

— მაგაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია. „კოლხეთთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და სხვაგან წასვლაზე ჯერ არ მიფიქრია. სეზონის წინ ვიყავი „ბათუმში“, იქ ვივარჯიშე ერთხანს, მერე კი კვლავ ფოთში დავბრუნდი. რაც შეეხება სხვა ქვეყნებიდან მიწვევებს, ნამდვილად არ მქონია.

**— არ მინდა გაგახსენო „ცრვენა ზვეზდა“, მაგრამ... ნუთუ ასე ჩამოვრჩებით საშუალო ევროპულ დონეს?**

— იმ კოშმარზე ნუ ვილაპარაკებთ. ისე კი, ერთს ვიტყვი, როცა გუნდს წლების მანძილზე დაბალი დონის ჩემპიონატში უხდება გამოსვლა, ძალაუნებურად მისი კლასიც ეცემა, თუნდაც „კოლხეთის“ არ იყოს, მუდამ პრიზიორთა შორის იმყოფებოდეს. არ შეიძლება ქართული ფეხბურთის დონეზე მხოლოდ ჩემპიონით, პრიზიორებით ან ნაკრებით იმსჯელო კაცმა, ქართული ფეხბურთის საშუალო დონეს სწორედ საშუალო გუნდები განსაზღვრავენ, მათ კი, თქვენც იცით, ელემენტარული საარსებო პირობებიც არ გააჩნიათ. თუ ასე გაგრძელდა, „ცრვენა ზვეზდა“ არ იქნება ერთადერთი გუნდი, ვინც მსგავსი ანგარიშით დაგვამარცხებს.

**— დაბოლოს, ჩვენზეც უნდა გკითხო, ჟურნალისტებზე. თქვენი, ფეხბურთელების თამაშიდან და ქართული ფეხბურთის შედეგებიდან გამომდინარე, უმეტესად კრიტიკული და მწვავე წერილების წერა გვიწევს, რაზეც ბევრი მტკივნეულად რეაგირებს. როგორ გგონია, რა და როგორი სახით უნდა იწერებოდეს გაზეთებში?**

— სიმართლე — ეს უნდა იყოს ჟურნალისტისთვის მთავარი. თუკი ფეხბურთზე მწერალს ხელთ ექნება მართალი ფაქტი, მისი კრიტიკის საწინააღმდეგოდ ვერც ვერავინ იტყვის რამეს. ეს არის და ეს.

*ამით დავამთავრეთ მიხეილ ქობულაძესთან საუბარი. რაღაც-რაღაცეებზე კითხვა-პასუხი კი მოვახერხეთ (მოვახლაფორთეთ უფრო სწორი იქნება), მაგრამ გულს მაინც დაგვაკლდა ერთი რამ...*

*სათქმელი და სალაპარაკო გვიცვდება ქართულ ფეხბურთში. ქართული ფეხბურთის უკიდურესი სიდუხჭირიდან გამომდინარე, აღარც კრიტიკას აქვს ფასი, აღარც ქებას გაცვლა, დაკნინდა, ფასი დაეკარგა ყველაფერს. როგორღაც ტრაფარეტული, ერთმანეთისგან განურჩეველი, ერთფეროვანი ჩანს ყოველივე.*

*აი, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ძლიერი გუნდის, ლამის ყოველწლიური პრიზიორის ერთ-ერთ ლიდერს ვესაუბრეთ, მაგრამ ახალი არც გვითქვამს რამე, არც გაგვიგია, შესაბამისად ვერც დავწერთ.*

*ყოველთვის ერთსა და იგივეს კი, ჩვენმა მტერმა უსმინა.*

*ამად გვეთანაღრება გული.*

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

### თასის მეოთხედფინალი

**ბაიერნი 3:0 შტუტგარტი**

1:0 იანკერი (26), 2:0 ბასლერი (71), 3:0 ციკლერი (78)

ბაიერნი: კანი, მათეუსი (ჰელმერი 74), ბაბელი, ლინკე, შტრუნცი, იერემისი, ეფენბერგი, ლისარასუ, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 79), იანკერი (ციკლერი 61), ელბერი

შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ვერლაატი, ბერთოლდი, კელერი, ლისტეში, როსტი (ცაიერი 73), სოლდო, კარნელი (ჰოსნი 73), რისტიჩი (ბობიჩი 57), აკპობორი

მსაჯი: შტრამპე

„ზოგიერთი ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ადგილს არ იმსახურებს, ამიტომ სამშაბათს „ბაიერნთან" ვერ ითამაშებს" — განაცხადა „ფრაიბურგთან" წაგებული მატჩის შემდეგ „შტუტგარტის" მთავარმა მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა. თქვა და აასრულა კიდეც „ოლიმპიაშტადიონზე" გერმანიის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრას გუნდის წამყვანი ფეხბურთელი ბულგარელი კრასიმირ ბალაკოვი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. „რამდენიმე მოთამაშის ნამდვილად უკმაყოფილო ვარ. იმედია, ღირსეულ შემცვლელებს მალე ვიპოვნი" — ეს სიტყვებიც შეფერს ეკუთვნის. მეორე ფეხბურთელი, რომელიც მწვრთნელის მიერ შერისხულთა შორის მოხვდა, ფრედი ბობიჩია. იყო დრო, ბობიჩზე მარტო შეფერი კი არა, მთელი გერმანია დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ამომავალ ვარსკვლავად შერაცხულმა თავდამსხმელმა გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. თუმცა ბალაკოვისგან განსხვავებით შეფერმა ბობიჩი ტრიბუნისთვის ვერ გაწირა, მეორე ტაიმში, როდესაც „შტუტგარტი" 0:1 აგებდა, იგი შეცვლაზე შეიყვანა. ბალაკოვს, გარდა ამისა, დისკვალიფიკაცია ელის. მან შაბათს ფრაიბურგელ ბაიას არბიტრისგან შეუმჩნევლად ფეხი ჩაარტყა და წითელ ბარათსაც გადაურჩა, სამაგიეროდ ჟურნალისტებისა და ქვეყნის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლების კრიტიკა დაიმსახურა. ისინი მის დისკვალიფიკაციას ითხოვენ და ალბათ, წადილსაც აისრულებენ.

მატჩი თავიდანვე „ბაიერნის" უპირატესობით დაიწყო, მაგრამ სახიფათო მომენტები ჯერ სტუმრებმა შექმნეს. კელერის თავური კანმა მოიგერია. აკპობორიმ კი მცირედით ააცილა ბურთი კარს. მალე მიუნხენელებს შეეძლოთ გატანა, მაგრამ ეფენბერგისა და ელბერის კომბინაცია ელბერისავე უზუსტო დარტყმით დასრულდა. 26-ე წუთზე კი გოლიც გავიდა. მათეუსის ჭკვიანური თამაშის წყალობით იანკერმა თავისიანები დ აწინაურა. ორიოდე წუთის შემდეგ ეფენბერგს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ვოლფარტმა იმარჯვა.

მეორე ტაიმში „შტუტგარტს" ბობიჩის გამოსვლამაც ვერ უშველა. ჯერ ბასლერმა, ხოლო შემდეგ ციკლერმა ნახევარფინალისტის ვინაობა გაარკვიეს. მატჩის მიწურულს ციკლერს და სალიჰამიჯიჩს შტუტგარტელთა საბოლოო დასამარებაც შეეძლოთ, მაგრამ გუნდი საქვეყნოდ შერცხვენას ვოლფარტმა გადაარჩინა.

თამაშის შემდეგ მარცხის მიზეზებს შეფერი ისევ მოთამაშეებში ეძებდა: „ჩვენი უმთავრესი პრობლემა ფეხბურთელების საქმისადმი არაპროფესიული მიდგომაა. პრესასთან და ტელევიზიასთან ლაყბობას, ურჩევნიათ ფეხბურთი ითამაშონ და გუნდი დალუპვას გადაარჩინონ".

აი, კლუბის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი კი სულ სხვაგვარად ფიქრობს, მან კვირას განაცხადა, ყველაფერი სამშაბათს გაირკვევაო. ამ „ყველაფერში" კი შეფერის გუნდიდან დათხოვნას გულისხმობდა, რასაც დიდი ხანია „შტუტგარტის" ქომაგებიც მოითხოვენ.

პრეზიდენტმა თუ სიტყვა აასრულა, მაშინ შაბათს „ჰამბურგთან" ბალაკოვიც ითამაშებს (თუ, ცხადია, დისკვალიფიკაცია არ მისცეს) და ბობიჩიც.

**ვანო ოქროპირიძე**

### მეორე ბუნდესლიგა

#### XVI ტურის მატჩი

**ზანქტ პაული 2:3 ურდინგენი**

0:1 ვან დერ ჰაარი (33), 0:2 ვან დერ ბენი (44), 1:2 სავიჩევი (61), 2:2 პუშმანი (72), 2:3 ფონ ალენი (89)




მარიო ბასლერი (მარცხნივ) „ბაიერნს" გამარჯვებაში გოლით დაეხმარა

## ივნისამდე

პასიანსიც გაიშალა. ეს აქეთ, იმიტომ, რომ ის იქით და თუ ის იქით, ამიტომ ეს აქეთ. დაახლოებით ასე საუბრობენ მილანელები.

ყველაფერი ორშაბათს დაიწყო, როდესაც „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ მწვრთნელს, ლუიჯი სიმონის კონტრაქტი შეუწყვიტა და ბუქარესტში, იქაური „რაპიდის" თავკაცს მირჩა ლუჩესკუს დაურეკა, ჩამოდი, სიმონის თანამდებობაზე დაგნიშნავო.

ორშაბათ საღამოს ლუჩესკუ უკვე მილანში იყო. მორატიმ რუმინელს ასეთი პირობა დაუდო: მან სეზონი უნდა ჩაამთავროს, ზაფხულიდან კი ახალგაზრდულ გუნდს ჩააბარებენ.

ლუჩესკუ ეტყობა, ამბიციური კაცი არ არის. მას იტალიაში ცხოვრების ავ-კარგიც მშვენივრად მოეხსენება, რადგან შვიდი წელიწადი აქვს ამ ქვეყანაში გატარებული, „ბრეშა", „პიზა" და „რეჯანა" გაუწვრთნია და ღარიბ სამშობლოში ყოფნას მილანში მოწყობა უჯობს.

მორატიმ და რუმინელმა ხელად გააფორმეს კონტრაქტი.

„ვერ წარმოიდგენთ რა ბედნიერი ვარ, ისევ იტალიაში რომ დავბრუნდი" — ალალად თქვა პრესკონფერენციაზე ლუჩესკუმ და დააყოლა — „ძალიან ვწუხვარ ჯიჯი სიმონის ბედს. რას იზამ, ფეხბურთში ხანდახან ასეც ხდება".

თუმცა სიმონი ალბათ შეძლებს თავის მიხედვას, უთქვამს, ფეხბურთიდან წასვლას გუნებაშიც არ გავივლებო. ასეც არ იყოს, თანამდებობიდან უკვე მეხუთედ ხსნიან და მისთვის არც თანმდევი უსიამოვნო განცდა უნდა იყოს უცხო ხილი. ისე კი:

„ძალიან უსამართლოდ მომექცნენ. ის, რაც „ინტერში" მოხდა, ბუნებრივ ქცევასა და პატიოსან ურთიერთობებს ეწინააღმდეგება" — უთხრა ჯერჯერობით უმუშევარმა კაცმა ჟურნალისტებს.

მაგრამ მთავარი, რაც აქამდე ვილაპარაკეთ, ის არ არის. მთავარი სხვაა, კერძოდ, ვისთვის ამზადებს მორატი ნიადაგს. ლუჩესკუ ივნისში მშვიდობიანად გადაჯდება მთავარი მწვრთნელის სკამიდან ახალგაზრდული გუნდის ხელმძღვანელის სკამზე.

და ვინ მოვა იქ?

მარჩელო ლიპი, „იუვენტუსის" ახლანდელი სტრატეგოსი — აი, ყველაზე გახმაურებული ვერსია. ჭორი, რომ მაესტრო ტურინიდან მიდის, გუშინდელი არაა. მართალია, ოფიციალურად არავის არაფერი დაუდასტურებია, მაგრამ ლოგიკა გვკარნახობს, რომ ადამიანს, რომელმაც ოთხ წელიწადში გუნდი სამჯერ გახადა ქვეყნის ჩემპიონი, სამჯერ ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა (ერთხელ თასი მოიპოვა), მოიგო საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასები, „დელე ალპის" სტადიონზე მისაღწეველი და აღმოსაჩენი ბევრი არაფერი უნდა ჰქონდეს. თან ამ ბოლო დროს „იუვეც" ველარაა ისეთი. მოკლედ, როგორც ჩანს, ლიპიმ „ბებერი ქალბატონი" ამოწურა, „ბებერმა ქალბატონმა" კი ლიპი.

მაგრამ მაესტროს მომავალზე ყველაფერს ამბობდნენ მილანის გუნდში გადასვლის გარდა. ყველაზე ხშირად მის რომის „ლაციოში" გადაბარგებაზე საუბრობდნენ. რამდენჯერმე უცხოეთიც ახსენეს: „რეალი" და „ატლეტიკო", „ინტერზე" კი აქამდე არავის არაფერი დაცდენია.

ალბათ იმიტომ, რომ „ინტერი" გასულ სეზონში „იუვენტუსის" მთავარი კონკურენტი იყო და იტალიის ჩემპიონის ბედი ამ გუნდების ტურინულ შეხვედრაში გადაწყდა. ის მატჩი ლიპის „იუვემ" 1:0 მოიგო, თუმცა დიდი სკანდალიც ატყდა: მარკ იულიანომ საკუთარ საჯარიმოში რონალდო წააქცია, მსაჯმა კი პენალტი არ დანიშნა. თამაშის მერე, მორატი ამბობდა, მსაჯები ყოველთვის ტურინის გუნდს უჭერენ მხარს. „იუვენტუსს" ყველა შეხვედრა გაახსენეს, სადაც მსაჯი მის სასარგებლოდ შემცდარა.

განა სხვების სასარგებლოდ არასოდეს შემცდარანო, კითხულობდა „ბებერი ქალბატონი", მაგრამ ყურს არავინ უგდებდა. „ინტერი" და „იუვე" მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს.

თუმცა, მორატი ბიზნესმენია და არა ქომაგი. ემოცია ტიფოზების საქმეა, ბიზნესმენი კი ვარიანტებს ითვლის.

ამ ორმოცი წლის წინ, „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატის მამა ანჯელო მორატი გახლდათ. მაშინ ანჯელო მორატის „ინტერმა" „ბარსელონასთან" წააგო დიდი ანგარიშით, პრეზიდენტმა კი ძალიან მშვიდად და საქმიანად „ბარსელონას" მწვრთნელს სამსახური შესთავაზა, დაითანხმა და... ელინიო ერერამ „ილ გრანდე ინტერ" შექმნა, კატენაჩო მოიგონა.

როგორც გითხარით, მასიმო მორატი ანჯელო მორატის ვაჟია.

„ივნისის მერე მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მარჩელო ლიპი შემცვლის" — თქვა ლუჩესკუმ პრესკონფერენციაზე. ლიპი და „ინტერი" ერთად ხმამაღლა პირველმა, რუმინელმა ახსენა.

ეს აქეთ, იმიტომ, რომ ის იქით...

ფაბიო კაპელო „მილანიდან" წასვლის მერე ტელეკომენტატორობით იქცევს თავს. რაღაც-რაღაცეები შესთავაზეს, მაგრამ არ ჩქარობს.

და თუ ლიპი „იუვენტუსიდან" „ინტერში" გადავა, „იუვენტუსსაც" ახალი მწვრთნელი ეყოლება მოსაძებნი, თუმცა ეჭვი არაა, ანიელების ოჯახს თავისი გუნდისთვის უკვე შეგულებული ჰყავს ვიღაც.

პასიანსიც გაიშალა.

**მიხეილ სურგულაძე**




მირჩა ლუჩესკუ (წინ) და ინტერის ვიცე პრეზიდენტი ჯამარა ვისკონტი დი მოდრონე

## ჰოლანდია

### გამოტოვებული მატჩი

**ჰერენვენი 3:3 ეინდჰოვენი**

0:1 ნილისი (31), 0:2 ხოხლოვი (44), 0:3 ივანი (46), 1:3 დე ვისერი (52), 2:3 ტალანი (64), 3:3 სამარჯიჩი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 14 | 11 | 2 | 1 | 34:13 | 35 |
| აიაქსი | 16 | 9 | 4 | 3 | 34:14 | 31 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:18 | 31 |
| ვიტესი | 15 | 9 | 2 | 4 | 28:19 | 29 |
| ტვენტე | 15 | 8 | 4 | 3 | 26:17 | 28 |
| როდა | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 |
| ეინდჰოვენი | 16 | 6 | 6 | 4 | 37:28 | 24 |
| ნაიმეგენი | 14 | 6 | 5 | 3 | 24:20 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 27:29 | 22 |
| ალკმაარი | 15 | 4 | 8 | 3 | 21:21 | 20 |
| უტრეხტი | 15 | 5 | 3 | 7 | 27:28 | 18 |
| მაასტრიხტი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:27 | 17 |
| გრააფსხაპი | 16 | 3 | 8 | 5 | 17:26 | 17 |
| კამბური | 16 | 3 | 5 | 8 | 16:30 | 14 |
| სპარტა | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | 12 |
| ბრედა | 13 | 2 | 4 | 7 | 15:21 | 10 |
| სიტარდი | 16 | 2 | 4 | 10 | 13:30 | 10 |
| ვალვაიკი | 15 | 1 | 3 | 11 | 16:31 | 6 |

## ავსტრია

გადადებული მატჩი. შტაირი — ლუსტენაუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 19 | 13 | 2 | 4 | 36:12 | 41 |
| რაპიდი | 19 | 12 | 4 | 3 | 32:14 | 40 |
| გრაცერი | 19 | 12 | 4 | 3 | 26:13 | 40 |
| ლინცერი | 19 | 11 | 3 | 5 | 34:22 | 36 |
| აუსტრია | 19 | 7 | 5 | 7 | 20:23 | 26 |
| ზალცბურგი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:26 | 24 |
| ტიროლი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:30 | 20 |
| რიდი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:20 | 16 |
| ლუსტენაუ | 18 | 2 | 6 | 10 | 14:36 | 12 |
| შტაირი | 19 | 1 | 3 | 15 | 15:43 | 3 |

## ინგლისი

### ლიგის თასის მეოთხედფინალი

**სანდერლენდი 3:0 ლუთონი**

**უიმბლდონი 2:1 ჩელსი**

### ასოციაციის თასის პირველი წრის გადათამაშებები

**კიდერმინსტერი 0:0 (4:5პ) პლიმუთი**

**ნოთს ქაუნთი 3:0 ჰენდონი**

## აჰა მარიო

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, ერიხ რიბეკმა განაცხადა, რომ შესაძლოა გუნდიდან ცნობილი ნახევარმცველი მარიო ბასლერი დაითხოვოს. მიუნხენის „ბაიერნის" მოთამაშე ნოემბერში ჰოლანდიასთან ფრედ, 1:1 ნათამაშევი შეხვედრის შემდეგ ერთობ გაკრიტიკებული დარჩა.

გაზეთების ცნობით ბასლერი შეხვედრის წინა ღამეებს ბანქოს თამაშში ატარებდა. ნახევარმცველმა ყველაფერი უარყო, განაცხადა, ბანქოს არ მივკარებივარ და მითუმეტეს დიდ თანხებზე არ მითამაშიაო.

„შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში რიბეკმა ბასლერის გვარი არ დაასახელა, მაგრამ ნათლად თქვა, რომ დეკემბრის მიწურულს ამერიკის შეერთებულ შტატებში მას არ იახლებს.

„ფეხბურთელების შერჩევისას იმ შთაბეჭდილებებით ვხელმძღვანელობ, გუნდის სამი შეკრებისა და თამაშის დროს რომ შემექმნა. ჩემთვის ყველაფერი მნიშვნელოვანი გახლდათ, ისიც, რაც მოედანზე ხდებოდა და ისიც, რაც მის გარეთ იყო. ყველამ იცოდეს, რომ არაპოპულარულ ნაბიჯებს არ ვერიდები ხოლმე" — თქვა რიბეკმა.

„ის ვალდებული იყო ჯერ პირადად დამლაპარაკებოდა და მხოლოდ მერე გავეკრიტიკებინე საჯაროდ" — განაცხადა საპასუხოდ ბასლერმა „შტუტგარტთან" სათასო შეხვედრის შემდეგ.

## ვასკუს დასცინიან

„ვასკუ და გამა" რიო დე ჟანეიროს კლუბია. რიოში გუნდის მარცხი საკონტინენტთაშორისო თასზე მადრიდის „რეალთან" ძალიან გაეხარდათ. ცოტა უცნაურია, არა? რატომ უნდა გახარებოდათ „ვასკუ და გამას" წაგება გუნდის მშობლიურ ქალაქში?

-გასულ სეზონში, როცა კლუბმა სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ჯილდო — ლიბერტადორესის თასი მოიგო, „ვასკუ და გამას" გულშემატკივრებმა ეს წარმატება ზუსტად იმ შენობის წინ აღნიშნეს, სადაც რიოს მეორე გუნდის, არანაკლებ პოპულარული „ფლამენგოს" შტაბ-ბინაა. მაშინ ფლამენგოელებს ყველაზე საძულველი მეტოქის ქცევა კარგად დაამახსოვრდათ.

„ვულოცავთ „ვასკუ და გამას" მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობას" — წერდა „ფლამენგოს" საკლუბო ჟურნალი და თანაქალაქელთა მარცხს კიდევ უფრო ცინიკურად აღწერდა. „მერე რა, რომ „ვაკუმ" თასი ვერ მოიგო. ფინალში ხომ ითამაშა!" — არ ცხრებოდნენ „ფლამენგოს" ქომაგები.

გუშინ ნახევარი რიო დე ჟანეირო ხარობდა, ნახევარი კი „რეალთან" წაგებას დაემწუხრებინა.

ფეხბურთის დასაბამიდან ასე იყო და იქნება. სპორტს ხომ დამარცხებულთა სიბრალული არ სჩვევია.

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი

**უდინეზე 3:2 პარმა**


ქირავდება
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72



სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს
დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ რედაქციაში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, I კორპუსი, IV სართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიის ჩემპიონატის ნახევარფინალში „სანტოსმა“ შინ 2:1 სძლია „კორინტიანსს“. „კრუზეირომ“ კი „პორტუგეზას“ უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის პირველობის ნახევარფინალები სამი მატჩისგან შედგება, რომელთა ჯამში გამარჯვებული ფინალში გადის. ზემოხსენებული თამაშები ნახევარფინალების პირველი შეხვედრები იყო.

ტუნისის „სპორტიფ სფაქსიენმა“ აფრიკის კონფედერაციის თასი მოიგო და მესამე ტუნისური კლუბი გახდა, ბოლო ოთხ წელიწადში ეს ჯილდო რომ მოუგია. მანამდე აფრიკის კონფედერაციის თასის გათამაშებაში 1995 წელს „ეტუალ დუ საელმა“ გაიმარჯვა, ერთი წლის შემდეგ კი „ესპერანსმა“. „სპორტიფ სფაქსიენმა“ ფინალის საპასუხო შეხვედრაში 3:0 დაამარცხა სენეგალის „ჟანა დარკი“. პირველი მატჩი ტუნისელებს ჰქონდათ მოგებული 1:0.

შოტლანდიის „სელტიკის“ მფლობელი ფერგიუს მაკკენი კუთვნილი აქციების გაყიდვას და კანადაში დაბრუნებას რომ აპირებს, ადრეც გაცნობეთ. ისიც შეგატყობინეთ, კენი დალგლიში და როკ მუსიკოსი ჯიმ კერი მაკკენისგან აქციების გამოსყიდვას რომ აპირებენ. გუშინ ბრიტანეთის საინფორმაციო სამსახურმა BBC-იმ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ცნობილი ჯგუფის U2-ს სოლისტ ბონოს აქციების შეძენა მოუწადინებია. მაკკენს გლაზგოს დატოვება გაზაფხულისთვის გადაუწყვეტია.

ნიგერიელმა 16 წლის ფეხბურთელმა ჰარუნა ბაბანგიდამ, რომელიც დღესდღეობით „ბარსელონა B“-ს ღირსებას იცავს, თქვა, რომ დიდი სურვილი აქვს, სეზონის ბოლოსთვის დიდ „ბარსელონაში“ ითამაშოს. აიაქსელი ტიჯანი ბაბანგიდას უმცროსმა ძმამ გასულ შაბათს კარიერაში პირველი მატჩი ჩაატარა და პროფესიონალთა შორის დებიუტი ორი გოლით აღნიშნა — „ბარსელონა B“-მ 4:0 დაამარცხა „ოსასუნა“. ბოლო ორი ბურთი სწორედ ჰარუნამ შეაგდო. ესპანურმა გაზეთმა AS-მა განაცხადა, პატარა ნიგერიელმა დაამტკიცა, რომ „ბარსელონამ“ 5 მილიონ დოლარად ტყუილად არ შეაფასაო.

აფრიკის ჩემპიონთა თასის ფინალის პირველ შეხვედრაში, ზიმბაბვეში, ადგილობრივმა „დინამოსმა“ კოტ დივუარის ASEC-ს უმასპინძლა, მაგრამ მეტოქეს ვერ სძლია — 0:0. კოტდივუარელებს საპასუხო მატჩის იმედი აქვთ, რომელიც 13 დეკემბერს ქვეყნის დედაქალაქ აბიჯანში გაიმართება. ASEC წლეულს 50 წლის გახდა და იუბილის ჩემპიონთა თასით აღნიშვნა გადაუწყვეტია.

ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციამ გაურკვეველი დროისთვის გადადო ყველა ის შეხვედრა, რომლებიც გასული შაბათ-კვირისთვის ჰქონდა დაგეგმილი. ამის მიზეზი დიდთოვლობა და მოედნების უხარისხობა გახლავთ.

ბელარუსი ნახევარმცველი, პეტრ კაჩურო ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „შეფილდ იუნაიტედის“ მოთამაშე შაბათს, „სანდერლენდთან“ მატჩში დაშავდა. ექიმების განცხადებით, 26 წლის ფეხბურთელის ტრავმა სერიოზული არ არის და მის სამომავლო კარიერას საფრთხეს არ შეუქმნის. წლევანდელი სეზონის დასაწყისი კაჩურომ მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა, შემდეგ ათამაშდა და 6 მატჩში 6 გოლი გაიტანა, ახლა კი კვლავ დაიმტვრა. შეგახსენებთ, რომ კაჩურო „შეფილდ იუნაიტედში“ 1996 წლის ივნისში გადავიდა მინსკის „დინამოდან“. ტრანსფერმა მილიონ 70 ათასი დოლარი შეადგინა.

რუმინეთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, ბუქარესტის „დინამოს“ ყოფილ პრეზიდენტს, ვასილე იანულს ციხეში მოხვედრის საფრთხე ემუქრება. მას ბრალად სდებენ, რომ 1991-93 წლებში, ანუ „დინამოს“ პრეზიდენტად მოღვაწეობის დროს, მან მაქინაციების წყალობით 2,3 მილიონი დოლარი მიითვისა. იანულმა სასამართლოში აპელაცია შეიტანა მას შემდეგ, რაც მას თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიუსაჯეს. აპელაციის განხილვას რუმინეთის უზენაესი სასამართლო გაისად, იანვარ-თებერვალში აპირებს.

პორტუგალიელი ნახევარმცველ ელდერ ბაპტისტა, რომელიც პორტუს „ბოავიშტაში“ თამაშობდა, პარიზულ პსჟ-ში გადავიდა. ფრანგებს ტრანსფერის ფასი არ გაუმხელიათ, თუმცა პორტუგალიური პრესის ცნობით, პარიზელებმა ელდერ ბაპტისტაში 2,1 მილიონი დოლარი გადაიხადეს. 26 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. პსჟ-ს პორტუგალიელი არტურ ჟორჟე თავკაცობს. ელდერს და „ბოავიშტას“ შორის დადებული ხელშეკრულება სეზონის ბოლოს იწურებოდა.

რუსეთის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ პრესატაშემ განაცხადა, რომ კლუბი დღეს, 3 დეკემბერს ამხანაგურად ეთამაშება პრიმერა დივიზიონის „ვილიარეალს“. მოსკოველებს სურთ, ჩემპიონთა ლიგაში ბოლო მატჩისთვის, მადრიდის „რეალთან“ სათამაშოდ ნაყოფიერად მოემზადონ. რადგან ქვეყნის ჩემპიონატი დასრულდა. მომზადების საუკეთესო საშუალებად ამხანაგური შეხვედრები იქცა. არაა გამორიცხული, „სპარტაკი“ „ვილიარეალის“ გარდა სხვა კლუბსაც დაუპირისპირდეს.

ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველ კრასიმირ ბალაკოვს გერმანიის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტში მოუწევს ახსნა-განმარტების მიცემა — შაბათს „ფრაიბურგთან“ მატჩში იგი ძალიან უხეშად ეთამაშა მეტოქის ტუნისელ ლეგიონერს, ზუბერ ბეიას, რომელსაც ექიმების დახმარება დასჭირდა. მატჩის არბიტრმა, იურგენ აუსტმა განაცხადა, რომ მან ვერაფერი შეამჩნია და ბალაკოვიც ამიტომ დარჩა დაუსჯელი. გერმანიის ყველაზე პოპულარულმა ჟურნალმა „ბილდმა“ ბალაკოვის საქციელს ბუნდესლიგის ყველაზე დიდი უხეშობა უწოდა და ქვეყნის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს შტუტგარტელის დასჯა მოსთხოვა. ბალაკოვს სასჯელი, ალბათ, არ ასცდება.

რუსეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა, რომელიც ერთი კვირის წინ იაროსლავის „შინიკის“ მწვრთნელად დაინიშნა, კლუბში შემდგომ მუშაობაზე უარი განაცხადა და გუნდიდან წავიდა. იაროსლავური გუნდის ხელმძღვანელობამ მალევე გამოძებნა ახალი თავკაცი — „შინიკს“ ალექსანდრ ავერიანოვი უხელმძღვანელებს. ავერიანოვმა, რომელიც მანამდე სამარას „კრილია სოვეტოვს“ 5 წლის მანძილზე წვრთნიდა, ახალ გუნდთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ინგლისის უძველესი კლუბის, „ევერტონის“ თავმჯდომარე ანუ პრეზიდენტი პეტერ ჯონსონი ორიოდ დღის წინ თანამდებობიდან გადადგა. მან გადაწყვეტილება ზუსტად მას შემდეგ მიიღო, რაც კლუბის შოტლანდიელი თავდამსხმელი დანკან ფერგიუსონი 13,2 მილიონ დოლარად „ნიუკასლში“ გადავიდა. ამ კაცის თავმჯდომარეობისას „ევერტონის“ ერთადერთი მიღწევა 1995 წელს ასოციაციის თასის მოგება იყო. ჯონსონმა თავის პოსტზე უარი კი თქვა, მაგრამ „ევერტონის“ ერთ-ერთი მფლობელია — მას კლუბის აქციების 68 პროცენტი ეკუთვნის. თავის დროზე ჯონსონი „ევერტონის“ ერთ-ერთი მესაკუთრე 10 მილიონ დოლარად გახდა, ახლა კი მისი ქონება 100 მილიონია.

ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის ვაჟი დარენ ფერგიუსონი შესაძლოა იტალიის სერია ი-ს კლუბ „კოზენცაში“ გადავიდეს. დღესდღეობით ამპლუით ნახევარმცველი 26 წლის ფეხბურთელი ინგლისის I დივიზიონის კლუბ „ვულვერჰემპტონის“ სათადარიგო მოთამაშეა. „იუნაიტედის“ სათადარიგო მწვრთნელი ბრაიან კიდი შესაძლოა „ბლექბერნის“ მწვრთნელად დაინიშნოს.

# ახლის, კარგის ძიებაში

გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ჭკუასელი

**749. ბორის შუყილაძე.** რუსთავი. ინდივიდუალური მეწარმე. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, რევაზ ძოძუაშვილი, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი

**750. იასონ ალადაშვილი.** რუსთავი. ინდივიდუალური მეწარმე. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. დავით ყიფიანი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო
## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები
# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი - - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - - -

საქართველოს ჩემპიონატი

# და ჰა, ფინალი: ყოჩები — დათვები!

ბათუმი. დინამო. 2 დეკემბერი

**დათვები 13:8 ექსპრესი**

**დათვები:** აშვეთია, გურეშიძე, პაპავა (ნინიძე), აბაშიძე, თედორაძე (სანებლიძე), გოგისვანიძე, სვანიძე, ფხაკაძე, გიორგაძე, ძაგნიძე, ჯანაშია, შარვაშიძე (ბალანჩივაძე), ხონელიძე, დავლაძე, ჩუბინიძე.
1ლ: ჯანაშია. 1გ: ძაგნიძე. 2ს: ძაგნიძე
**ექსპრესი:** რეხვიაშვილი, ირემაძე, მაჭუტაძე, ჩადუნელი, მოგელაძე (სუჯაშვილი), კახიანი, ცხომელიძე, კობახიძე, სარიშვილი, კვინიხიძე, ჩხენკელი, ალანია, სიხარულიძე (ჩაჩუა), ბესელია, ასათიანი.
1ლ: მაჭუტაძე. 1ს: კვინიხიძე
**მსაჯი:** ბ. კლავერი (საფრანგეთი)

მსაჯი დამატებული დროის წამებს ითვლიდა. წაგების შიში სტუმრებს უკანმოუხედავად ერეკებოდა მასპინძელთა სალელოე მოედნისკენ. თავის მხრივ, ბათუმელებსაც უკანასკნელი ძალა უნდა მოეკრიბათ. გაუძელითო — ითხოვდა რამდენიმე ასეული მაყურებელიც, მთელი თამაშის განმავლობაში ხმაშეწყობილად და ენერგიულად რომ ქომაგობდა თავისიანებს. მასპინძლებმაც გაძლეს. ძალთა ასეთ ფიცხელ ჭიდილში გაისმა ფრანგი არბიტრის — ანრი კლავერის სასტვენის ხმა, რომელმაც „დათვებს“ გამარჯვება და ფინალში გასვლა აუწყა. ძნელია, აღწერო, რა ხდებოდა ამის შემდეგ ტრიბუნასა თუ ბათუმელების სათადარიგოთა სკამზე. მხოლოდ თბილისელები დუმდნენ.

რამდენიმედღიანმა კოკისპირულმა წვიმამ თამაშს თავისი კვალი დაატყო. სველ მინდორზე ფეხის მოკიდებაც ჭირდა და ბურთის დამორჩილებაც. ეს განსაკუთრებით შერკინებისას იჩენდა ხოლმე თავს, როცა დამცველი გუნდი უკან-უკან ისე მისრიალებდა, თითქოს ფერდობიდან ციგურებით ეშვებაო.

ასეთ პირობებში ორივე გუნდი ფრთხილობდა. მეტოქეებმა საერთოდ უარყვეს კომბინაციური თამაში და აქცენტი ბურთის ფეხით მოგიერებაზე გადაიტანეს. ისინი მარტივი ტაქტიკით — აუტში ბურთის გადაგდებით ცდილობდნენ ერთმანეთის სალელოე მოედანთან მიახლოებას, მაგრამ ამან ვერც ერთი ვერ აზეირა. უფეროული თამაში ათი ქულით ჩამორჩენილმა „ექსპრესმა“ გამოაცოცხლა. არც მასპინძლები ჩამორჩნენ, რამაც ამ პრინციპულ შეხვედრას დაძაბულობა და ეშხი შემატა.

მასპინძლებმა გამარჯვება, ფაქტობრივად, პირველივე ათ წუთში დაიბევეს, როცა 10-ქულიანი „გაქცევა“ მოიწყვეს და „ექსპრესის“ განადგურებას მიჰყვეს ხელი. არადა, დასაწყისი თითქოს სხვას უქადდათ, რადგან თბილისელთა პირველივე შეტევა მათი კარის პირდაპირ დანიშნული ჯარიმით დამთავრდა, თუმცა ბუბა კვინიხიძემ მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. ვერ გეტყვით, რა სჭირდა გუშინ ამ მარჯვე დამრტყმელს, მაგრამ მან კიდევ თითო საჯარიმო და გარდასახვა ააცილა. შეიძლება, ბუბაზე მაყურებელიც მოქმედებდა, რომელიც ყოველ დარტყმას წარმოუდგენელი ღრიანცელით ხვდებოდა. სამაგიეროდ, ქომაგებმა ხმაშეწყობილად უმღერეს „დათვები“, „დათვები“ ძაგნიძეს, როცა კვინიხიძის მიერ პირველი ჯარიმის აცილებიდან რამდენიმე წამში ბათუმელებს ეს უფლება კვლავ მიეცათ. ძაგნიძემაც გამოიყენა შანსი და თავისიანები დააწინაურა. თამაშის განახლებისთანავე ბათუმელებმა შეტევა ჩაჭრეს და ლელოც გაიტანეს. ძაგნიძემაც გარდასახა და ზღვისპირელები 10:0 დაწინაურდნენ. ჩემი აზრით, „დათვებმა“ სწორედ აქ მოიგეს. მართალია, „ექსპრესს“ დრო თავზესაყრელად ჰქონდა და ბევრსაც ეცადა, ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ ამ სხვაობის გაბათილება ვერ შეძლო.

თამაში სწრაფი და ძალიან დინამიური გამოდგა. უპირატესობა გარდამავალი გახლდათ და მოვლენებიც უსწრაფესად იცვლებოდა. ორივე გუნდს დაუბრუნდნენ ნაკრების წევრები, მაგრამ ეს უფრო ბათუმელებს წაადგათ. თბილისელთა შორის აჩიკო კობახიძის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებამ მის გუნდს, თუ შედეგს გავითვალისწინებთ, მაინცდამაინც ვერ არგო, ემზარ ძაგნიძის ზუსტმა დარტყმებმა კი მასპინძლებს მოაგებინა. თუმცა მეორე ტაიმში (რომელშიც სტუმრები ხანგრძლივად ფლობდნენ გამოკვეთილ უპირატესობას) სამიზნემ სამჯერ მასაც უმტყუნა. კურიოზული გახლდათ ბოლო გაუტანელი ჯარიმა, როცა ოვალური ბურთი ძელებს შორის „აცეკვდა“ — ერთიდან ახხლეტილი მეორეს მოხვდა და მინდორს დაუბრუნდა.

ბათუმელთა შორის კვლავ გამოირჩა ლევან შარვაშიძე. ჯერ იყო და, პირველ ტაიმში, როცა მან მეტოქის მიერ მოგერიებული ბურთი იგდო ხელთ, ჩვეული ჩინებული სოლო-რეიდით გაიჭრა სალელოე მოედნისკენ. სტუმრებმა ლევანის „თავხედური იერიში“ აკრძალული ხერხით შეაჩერეს და ძაგნიძემ 13-მდე გაზარდა თავისიანების ქულათა მონაგარი. შარვაშიძემ მეორე ტაიმშიც შექმნა დასამახსოვრებელი მომენტი — მეტოქეს ზუსტი აბრაგანი „გადაუკიდა“, ბურთს კარგადაც შეჰყვა, მაგრამ თბილისელებმა წამით დაასწრეს საკუთარ სალელო მოედანზე ბურთის დამიწება. როგორც ამბობენ, ასეთმა კარგმა თამაშმა მატჩის საყურებლად ჩამოსულ ქართული რაგბის მამებს ნაკრებში მისი ათ ნომრად მიწვევა აფიქრებინა.

ამ უაღრესად დაძაბულ მატჩში. ანგარიშის გათანაბრება ყოველ წუთს შეიძლებოდა. მეორე ტაიმი თითქმის თბილისელთა კარნახით წარიმართა, მაგრამ მათ ერთი ჯგუფური ლელოს მეტი ვერა გააზერხეს. ბოლოს სტუმრები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენმა ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი შეხვედრის დასრულება და ჯერჯერობით „დათვების“ ყველაზე დიდი გამარჯვება გვამცნო. დიახ, ჯერჯერობით, რადგან საჩემპიონო ამბიციამოძალებული ბათუმელები „ყოჩებსაც“ უპირებენ დატორვას.

**ირაკლი თავაძე**
ბათუმიდან




**ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!**

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები


**საფრანგეთში მოთამაშე ქართველ მორაგბეებზე არაერთხელ დაგვიწერია, დღეს კი რუსეთში [illegible] ნიკა იურინსა და მოსკოვის „ფილის“ წევრ სოსო ჭელიძეს წარმოგიდგენთ. მათი გუნდები, ზოგი ჩვენი „ფრანგის“ ლეგიონერის კლუბისგან განსხვავებით, ევროპულ გრანდებს არ მიეკუთვნებიან, მაგრამ რუსეთში ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან. ... ნიკა იურინი - ბეირუთა სულ ახლახან ნაკრების ლიდერი გახლდათ, ირლანდიის ისტორიულ ტურნირზე კი არ წაიყვანეს და ახლა ძალიანაც ნანობენ. თავად ნიკაც არანაკლებ გულნატკენია**

# ბეირუთას დატოვება იქნებოდა?!



[illegible] ფოტო

ნიკა იურინი

მე და გია ლაბაძემ „პენზაში“ მესამე სეზონი ჩავამთავრეთ. აქ კი მოსკოვის „ფილიდან“ გადმოვედით, სადაც მანამდე ორი სეზონი დავყავით. მოგეხსენებათ, კარგი გუნდის შექმნას დიდი დრო სჭირდება. საამისოდ წლეულს ბიჭებმა განსაკუთრებით მოინდომეს, მაგრამ მთავარი მაინც მწვრთნელის გარჯაა, რომელმაც ერთად შეგვკრიბა. გუნდის ძირითადში ხომ მხოლოდ ოთხი პენზელია, დანარჩენი თერთმეტი კი ჩვენსავით მიწვეულია.

**— ალბათ, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს შემადგენლობაც ძლიერი ეყოლება. ჩამოსულები ყველანი შენსავით ლეგიონერები არიან თუ რუსები?**

— ლეგიონერები მე და ლაბაძე ვართ, აგრეთვე ერთი უკრაინელი პირველ ხაზში. დანარჩენები რუსები არიან. ის უკრაინელი თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის წევრია. გარდა ამისა, კლუბის 12 მოთამაშე რუსეთის ნაკრებშია.

**— პირობებიც კარგი გექნებათ.**

— კი, უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა „ფილიში“ უკეთესი ვითარება იყო. ამ კლუბს ისეთი ბაზა აქვს, რომლის მსგავსიც საქართველოში, ალბათ, არასოდეს გვექნება. პენზაშიც სავარჯიშოდ ყველანაირი პირობაა შექმნილი. გუნდს ქალაქის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს და დიდ ყურადღებასაც აქცევს. გვაქვს მოედნები, ათლეტიზმის დარბაზი, ვიდეოკასეტების მდიდარი კოლექცია და ნებისმიერ დროს ნებისმიერი გუნდის თამაშის ნახვა შეგვიძლია. ხელფასები ამ ბოლო დროს ცოტა კი ჭირს (მოგეხსენებათ, რუსეთში ეკონომიკური კრიზისია), მაგრამ ბევრი-ბევრი ორი თვით დააგვიანონ. პენზაშიც დაპირისპირებაა რაგბისა და ფეხბურთს შორის. იქაური საფეხბურთო გუნდი მეორე-მესამე ლიგებში მიდი-მოდის, მაგრამ ფეხბურთი იქაც ნომერ პირველი სპორტია. თუმცა უფრო ძლიერი რაგბი ჩაგრავს შედარებით სუსტ ფეხბურთს.

**— როგორც შენი საუბრიდან ჩანს, ბევრი საერთო გვქონია. იქაურ ჩემპიონატში მსაჯობის პრობლემაც ხომ არაა?**

— შეცდომით მსაჯი ყველგან შეიძლება შეცდეს, მაგრამ რუსეთის ჩემპიონატში მსაჯების ცემა ან მათი მიზეზით თამაშის ჩაშლა არ მახსენდება. ისე, რაკი მსგავსება გაინტერესებთ, ერთსაც გეტყვით — რაგბის ყურადღება რუსეთშიც აკლია და საქართველოშიც. აქვე მინდა, მადლობა ვუთხრა გაზეთებს — „სარბიელსა“ და „რეზონანსს“ რაგბისა და ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის. რომ არა თქვენი მხარდაჭერა, შეიძლება, ნაკრებში არც დღეს მივეწვიე.

**— ქართული რაგბი პირველი გამოეყო მაშინდელ საბჭოთა რაგბის. შენ, როგორც რუსეთში მოთამაშე კაცს, თუ გსმენია იქაურთაგან ამ საკითხზე — რა შედეგი მოიტანა ამან?**

— მე მგონი, ამით რუსეთის რაგბი უფრო დასუსტდა. ამაზე თუნდაც ნაკრების შედეგებიც მეტყველებს. უკრაინული რაგბის დონე ამის შემდეგ საგრძნობლად ამაღლდა. ნახეთ, როგორ თამაშობენ მათი ლეგიონერები და ნაკრები.

**— ქართული რაგბი რომ ამ კონტექსტში განვიხილოთ?**

— ისიც საგრძნობლად შეიცვალა და მისი სათამაშო კლასიც ამაღლდა. ეს ყველაზე უკეთ შერკინებას ეტყობა. დღეს იგი ჩვენი ნაკრების უძლიერესი რგოლია. მართალია, მას ზოგჯერ ცოტა ზედმეტი მოსდის, მაგრამ ეს თავდაჯერებისა და სიძლიერის ბრალია. კლოდ სორელმა ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა.

**— ვინ უფრო თანამედროვე რაგბის თამაშობს — რუსები თუ ჩვენ?**

— როგორც ჩვენ არ ვიცოდით ბევრი რამ კლოდ სორელის ჩამოსვლამდე, ისე რუსებმა, ახლა კი მათაც ისწავლეს. მაგრამ ჩვენ მაინც ცოტათი წინ ვართ, რადგან მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრამდე ერთი ნაბიჯღა გვაკლია. ასე ნელ-ნელა უნდა ვიაროთ დიდ წარმატებამდე.

**— ნიკა, ისევ ქართულ რაგბის და შენს გეგმებს დავუბრუნდეთ. ვიცი, რომ პლეი ოფს „ყოჩებში“ ჩაატარებ. მერე რას აპირებ?**

— ამ კითხვაზე ახლა პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან მომავალზე ჯერ თავადაც არ მიფიქრია. ფინალური მატჩის მერე პენზაში ჩავალ და მაშინ გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე. შეიძლება, იქვე დავრჩე, შეიძლება მოსკოვში გადავიდე, ან თბილისში ჩამოვიდე.

**— ბოლოს, ტონგას ნაკრებზეც მინდა გკითხო. შენი აზრით, მასთან ორთაბრძოლისას რა შანსები გვაქვს?**

— მე მგონი, ორრაუნდიანი ბრძოლის გამო ტონგასთან წარმატების მეტი შანსია. სტუმრად შეიძლება წავაგოთ, მაგრამ შინ აუცილებლად მოვიგებთ. ვერ გეტყვით, ქულებით გამარჯვება ვის დარჩება, მაგრამ თბილისში წარმატების ძალიან დიდი იმედი მაქვს. აქ ხომ მუდამ საბრძოლველად გამოვდივართ ნებისმიერ მეტოქესთან, მრავალათასიანი მაყურებლის მხარდაჭერაც ძალიან გვეხმარება და დიდ სტიმულს გვაძლევს. სანუგეშო ტურნირში ტონგა უძლიერესია. ისინი ტრადიციითა და თამაშით გვჯობნიან, მაგრამ ჩვენ უფრო შეუპოვრები ვართ. ამიტომ მჯერა, მომდევნო ეტაპზე გავალთ. ვერ ვიტყვი, მომდევნო მეტოქესთანაც, ვინც უნდა შეგვხვდეს, აუცილებლად მოვუგებთ-მეთქი, მაგრამ არავისთან არ უნდა გაგვიჭირდეს.

*როგორც უკვე გითხარით, სოსო ჭელიძე მოსკოვის „ფილიში“ თამაშობს.*

— მოსკოვის გუნდში ამ სამი წლის წინათ მოვხვდი გია ლაბაძის დახმარებით. „ფილი“ ორი წელიწადი საერთოდ დაშლილი იყო, მერე კი აღდგა და წლეულს სუპერლიგაშიც მოხვდა. რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა ორ ზონადაა გაყოფილი. თითოეულიდან სუპერლიგაში 3-3 გუნდი ხვდება, რომლებიც ჯგუფური პრინციპით არკვევენ ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობას. „ფილი“ სუპერლიგაში ბოლო, მეექვსე ადგილზე გავიდა. დაშლილი და მკვდრეთით აღმდგარი გუნდისთვის ეს კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

**— ვიცი, რომ „ფილიში“ ქართული სათვისტომოცაა.**

— დიახ, ჩემს გარდა კიდევ სამი ქართველია — პაატა ძოწენიძე, პაატა ტყაბლაძე და გელა ფირცხალავა. ოთხივე ძირითად შემადგენლობაში ვართ.

**— კიდევ დიდხანს აპირებთ იქ დარჩენას?**

— ეს რუსეთის ეკონომიკის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით წამოსვლა არ გვინდა, მაგრამ თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, იძულებული გავხდებით ასე მოვიქცეთ. მომავალზე ჯერ არ ვფიქრობთ, მაგრამ თუ რუბლის ინფლაცია არ შეჩერდა, წამოსვლის გარდა სხვ გზა არ დაგვრჩება. ჩემი მდგომარეობა იმ სამ ქართველთან შედარებით უკეთესია, რადგან მათ ცოლ-შვილიც უნდა არჩინონ, მე კი ეს პრობლემა არ მაწუხებს.

**— პირობებით უკმაყოფილო ხომ არ ხართ?**

— პირობებით არა. ხელფასებს ცოტათი კი გვიგვიანებენ, მაგრამ მაინც ვიღებთ. უბრალოდ, ეს ინფლაცია... სხვა მხრივ, როგორც უკვე ნიკამ აღნიშნა, „ფილის“ საუკეთესო ბაზა აქვს. ვცხოვრობთ კლუბის ბინებში, ჩაწერილებიც ვართ, გუნდიც ყოველნაირად გვეხმარება.

**— ქართველობის გამო პრობლემები ხომ არ გექნებათ?**

— ვიდრე ჩაწერის პრობლემას მოვიგვარებდნენ, მეტროპოლიტენში პოლიცია ხშირად გვაჩერებდა, მაგრამ ახლა არც ეს გვაწუხებს. რაც შეეხება გუნდს, იქ პირიქით, როგორც ლეგიონერებს, პატივსაც გვცემენ.

**— საბჭოურ რაგბის პირველებმა ქართველებმა რომ ვუგანეთ, ამას ხომ არ გახსენებენ რუსები?**

— ხუმრობით კი, მაგრამ სერიოზულად, თითის ქნევით ამაზე არავინ საუბრობს.

**— ჩვენი ძველი ნაცნობი რუსული გუნდები, ქართული კლუბების მეტოქეები რომ იყვნენ საჩემპიონო ბრძოლაში, დღესაც ძველებურად ყოჩაღობენ?**

— კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის“ დღეს „კრასნი იარი“ ჰქვია და მართლაც ძველებურად ძლიერია. იგი ჩემპიონი გახდა. ასევე ძლიერია მონინოს ხსა-ც. „ფილიზე“ უკვე გითხარით. მოსკოვის „ლოკომოტივი“ დაიშალა და აღარ არსებობს, „სლავამ“ ეს საფრთხე თავიდან კი აიცილა, მაგრამ ძალიან სუსტად ასპარეზობს.

— ამ მატჩში ჩვენები მათ შეცდომებს უნდა ჩასაფრებოდნენ, თავად კი უშეცდომოდ ეთამაშათ. გარკვეულ დრომდე ეს გამოგვივიდა, მაგრამ არა ბოლომდე.

**— ახლა კლუბზეც ვისაუბროთ, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა.**

— ამბიციებიც და შესაძლებლობებიც მეტი იყო. ჩვენ ერთმა თამაშმა დაგვღუპა — შინ წავაგეთ კრასნოიარსკის „კრასნი იართან“ (ყოფილი „ექსკავატორტიაჟსტროი“). რომ მოგვეგო, ჩემპიონები გავხდებოდით. გუნდი ძალიან ახალგაზრდულია და გამოცდილება აშკარად არ გვეყო, ციმბირელებმა კი სწორედ ამ კომპონენტში გვაჯობეს. ასე გავუშვით ხელიდან ჩემპიონობის შანსი. არადა, გუნდი, როგორც იქნა, ათამაშდა და მიაღწია იმ დონეს, რისთვისაც ორი წელი ვიბრძოდით.

**ირაკლი თავაძე**

# მე ახლაც ყველას ვჯობივარ



ჯონ მაკინროი ისევ შარზეა

ჯონ მაკინროი წყნარი და მორჩილი ხასიათით თავისი დიდების დღეებშიც არ გამოირჩეოდა. წლები გავიდა, მაგრამ ბებერი მაკის მორჯულებას საშველი არ დაადგა — მსაჯებისა და მეტოქეების დაწიოკებას ახლა ვეტერანთა ლიგაში აგრძელებს და ახალგაზრდა კოლეგებისა თუ ჩოგბურთის მამებისთვის კბილის გაკვრის შესაძლებლობასაც არასოდეს უშვებს ხელიდან.

„დეილი მეილისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ამჯერად წყვილების ჩოგბურთს, აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტან ტომ გალიქსონსა და მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასს მოხვდათ.

„მე ახლაც ნებისმიერ წყვილების მოთამაშეს ვჯობივარ, ვისაც ჩემი დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ აშშ-ის სახელით უასპარეზია. ის კი არა, ეჭვიც არ მეპარება, მსოფლიოში ამჟამადაც საუკეთესო მეწყვილე ვიქნები — განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა და თან დაუმატა, სიცილით კინაღამ გავიგუდე, წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეთა ვინაობა რომ შევიტყვეო — ვერ გამიგია, აშშ-ის დევისის თასის გუნდში რად არ მიწვევენ, წყვილებში მათსავით იოლად წაგებას მეც მოვახერხებ, სამაგიეროდ, ამას ცოტა მეტ ინტერესს მაინც შევძენდი“.

მაკინროის ამბიციები ამით არ დასრულებულა, იგი ერთეულებში მოთამაშეებსაც გადაწვდა: „ტურზე ახლანდელი პროფესიონალების თამაშს ხშირად ვადევნებ თვალყურს და ვერ ვიტყვი, რომ ისინი ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. შეიძლება ერთ დღეს ბევრთან წავაგო, მაგრამ თუ თამაშის ხასიათზე ვიქნები, მათ უმეტესობას თავბედს ვაწყევლინებ“.

მერე აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტნის — ტომ გალიქსონის ჯერიც დადგა: „ვერ გამიგია, ნახევარფინალში იტალიელებთან განცდილი ფიასკოს შემდეგ გალიქსონი თანამდებობაზე როგორ დატოვეს. თუ ჩემს ასარჩევად გამბედაობა არ ეყოთ, სტენ სმიტი მაინც აერჩიათ. იგი დევისის თასის გუნდის გამორჩეული წევრი იყო და ამ პოსტზე უკვე 15 წელია, ოცნებობს“.

მაკინროის უკანასკნელი მსხვერპლი პიტ სამპრასი შეიქნა, რომელიც დევისის თასისთვის ბრძოლაზე ამ ბოლო ხანებში ხშირად აცხადებს უარს: „არ ვიცი, პიტს რატომ ჰგონია, რომ თუ გუნდის ღირსება ფინალში რამდენჯერმე დაიცვა, ამერიკელებმა ეროვნულ გმირად უნდა აღიარონ და ქუჩაში ყველამ უნდა იცნოს. წლების განმავლობაში იგი აცხადებდა, მხოლოდ დიდი სლემის ტურნირების მოგება მაინტერესებსო, რითაც ATP ტურის პოპულარობას სასტიკად ვნებდა (სლემის ტურნირები ტურის სისტემაში არ შედის). წლეულს კი მან მკვეთრად შეიცვალა აზრი და მოულოდნელად მთავარი მისთვის მსოფლიოს პირველი ჩოგნობა აღმოჩნდა. იმედია, ამიერიდან იგი საკუთარ საქციელს მეტად დაუფიქრდება“.

ისე, იმავეს გაკეთება არც თავად მაკინროის აწყენდა.

# სერენადა ლეივერისთვის



როდ ლეივერი

ოთხი თვის წინ ყველა დროის უდიდეს ჩოგბურთელად აღიარებული როდ ლეივერი ინფარქტმა ლამის შეიწირა, მაგრამ ამჟამად ლეგენდარული ავსტრალიელი ისევ ჯანზეა და საბოლოოდ გამოჯანმრთელების იმედიც აქვს.

ლეივერის მიღწევათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — იგი ერთადერთი ჩოგბურთელი კაცია, რომელსაც დიდი სლემი (სეზონის ოთხივე ბობოლა ტურნირი) ორჯერ მოუგია, საუკეთესო წლების პროფესიონალურ სარბიელზე გატარების მიუხედავად, 11 დიდი სლემის ტურნირზე უმარჯვია (აქედან ოთხჯერ უიმბლდონზე), პირველი ჩოგბურთელია, ვინც საპრიზოებით მილიონ დოლარს გადააბიჯა.

ღვაწლმოსილი ოზი ივლისის ბოლოს ESPN-ის სპორტის ლეგენდების გადაცემათა სერიისთვის ინტერვიუს ასაღებად მიიწვიეს, როდესაც გულის შეტევა დაემართა. მან ლოს ანჯელესის სამედიცინო ცენტრის რეანიმაციაში ექვსი დღე დაჰყო, რის შემდეგადაც ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს, მაგრამ რამდენიმე საათში ისევ უკან დასაბრუნებელი შეიქნა — ამჯერად ტვინში სისხლი ჩაექცა.

„ყველაფერი ეს თავში აგურის ჩარტყმას ჰგავდა. გვეგონა, ბრძოლა მოვიგეთო და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ პირიქით, სიტუაცია გაუარესებულიყო“ — ასე იხსენებს მომხდარს ლეივერის მეუღლე მერი.

60 წლის ავსტრალიელს საავადმყოფოში ყოფნა მთელი ექვსი კვირა გაუგრძელდა და სიარულისა და ლაპარაკის ხელმეორედ სწავლაც მოუხდა, თუმცა ოპტიმიზმი არასოდეს დაუკარგავს: „უბრალოდ, ვიცოდი, რომ იქიდან აუცილებლად გავაღწევდი. მზად ვიყავი, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა სიკვდილისთვის მეჯობნა და ისევ ფეხზე დავმდგარიყავი“.

ლეივერი არც ძველ თუ ახალ მეგობრებს დავიწყებიათ, ერთხელ კი აშშ-ის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებულის პატრიკ რაფტერისა და წყვილებში თამაშის ოსტატის სენდონ სტოლის სტუმრობა სიმღერით დასრულდა: „ჩემთან შემოსვლა და მოკითხვა უნდოდათ, მაგრამ ექიმებმა არ შემოუშვეს. მაშინ ისინი კართან დადგნენ და „უოლცინგ მატილდა“ მიმღერეს“.

ლეივერი საავადმყოფოდან სექტემბრის ბოლოს გამოწერეს, ორიოდ თვეში კი იგი უკვე ჩოგბურთის კორტსა და გოლფის მოედანს დაუბრუნდა. „კორტზე შვილთან გაჯიბრება და ჩემსკენ დარტყმული ბურთის დანახვა ნებისმიერ წამალზე, ნებისმიერ აბზე მეტად წამალია — განუცხადა ავსტრალიის მეცხრე არხის წარმომადგენლებს კალიფორნიულ პალმ სპრინგში მდებარე თავისი ახლანდელი სახლიდან ლეივერმა — ვიცი, რომ ისედაც ბევრს მივაღწიე, რადგან ჩემს სრულ გამოჯანმრთელებას ექიმებიც არ ელოდნენ, მაგრამ ჩოგბურთის თამაშის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია“.

**ავთანდილ სვანიძე**



**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა სპორტის მოღვაწეებთან ერთ-ერთი შეხვედრისას საბჭოთა სპორტსმენთა ერთ ჯგუფს სახალხო სპორტსმენები უწოდა. ადრე იყვნენ სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და ეს წოდებები სავსებით ოფიციალური იყო, მაგრამ სახალხო სპორტსმენი ოფიციალურ წოდებად არასდროს ქცეულა. მაინც რას გულისხმობდა ამ გამოთქმაში ლეონიდ ილიჩი? როგორც მან იქვე განმარტა, სახალხო სპორტსმენებად ითვლებოდნენ ისინი, ვინც ხალხს უანგარო, ალალი სიყვარულით უყვარდა და მხოლოდ დიდი მიღწევებისთვის როდი სცემდა პატივს. იმ შეხვედრაზე უპოპულარულესი საბჭოთა ფიგურული მოციგურავე ირინა როდნინაც იმყოფებოდა და, ცხადია, ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული ეპითეტი სხვებზე მეტად თუ არა, ნაკლებადაც არ ეკუთვნოდა. ყოფილ საბჭოეთში, გიგანტურ სახელმწიფოში სხვადასხვა ხასიათის, მისწრაფებებისა და ტრადიციების მქონე ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ ირინა როდნინას ყველგან, დასავლეთის საზღვრებიდან იაპონიის ზღვამდე და შუა აზიიდან ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანემდე თითქმის ერთნაირად გულშემატკივრობდნენ. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და მხოლოდ ღვთისგან მომადლებული სპორტული ნიჭით ამის მიღწევა შეუძლებელია. ხალხის დიდი სიყვარულის დასამსახურებლად რაღაც სხვა არის საჭირო და სწორედ ეს გახლავთ უდიდესი მონაპოვარი**

# ირინა როდნინა:
## მე ისევ ძველი იდეოლოგიით ვცხოვრობ



ირინა როდნინა

ფიგურული მოციგურავე წყვილთა თანრიგში
დაიბადა 1949 წლის 12 სექტემბერს
სამგზის ოლიმპიური და ათგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული
საყვარელი მომღერალი — ალა პუგაჩოვა
საყვარელი ფილმი — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“
საყვარელი საჭმელი — ფაშლის ნამცხვარი
უახლოესი პერსპექტივა — ჯერჯერობით არაფერს ელის

**— დიდი სპორტიდან წასვლას უამრავი უსიამოვნება ახლავს. ამათგან უმთავრესი ცხოვრების წესის შეცვლა. დიდი ხანია, აღარ ციგურაობთ. როგორია ამჟამად თქვენი დღის განრიგი?**

— განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. დაახლოებით ისეთივე დღის რეჟიმი მაქვს, როგორიც ჩემს თანამემამულე ქალთა უმეტესობას. მოკლედ ეს ასე შეიძლება აღიწეროს: სახლი — სამსახური — სახლი — ლოგინი და ასე ყოველდღე. თუმცა ჩემი საქმიანობის სპეციფიკა ისეთია, რომ ხშირად მიწევს მოგზაურობა და მაშინ ეს გრაფიკი, ბუნებრივია, ირღვევა.

**— დილაობით არც თქვენ ვარჯიშობთ, ისევე, როგორც ყოფილ სპორტსმენთა უმეტესობა?**

— ახალგაზრდობაში საკმაოდ ვიყავი შეზღუდული და ახლა დილაობით ძალდატანებით თავს აღარ ვიწუხებ. დილას მსუბუქად ვსაუზმობ ან მხოლოდ ფინჯან ყავას ვსვამ და სამსახურში მივდივარ. იქ კი, როგორც მწვრთნელს, ცხადია, მიწევს ციგურებზე შედგომა და ესეც ხომ თავისებური ვარჯიშია.

**— ამჟამადაც ახლო ურთიერთობა გაქვთ სპორტსმენებთან. თუ შეადარებდით თქვენსა და ამ დროს, თქვენსა და ახლანდელ თაობებს?**

— ახლა რა, ჩემი დრო არ არის? ვხუმრობ, რა თქმა უნდა. პარალელის გავლება, ცხადია, შემიძლია, რადგან ადრეც და ახლაც კისრამდე ვარ საქმეში ჩაფლული. იცით, არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ ჩვენ ალბათ უფრო უანგარონი ვიყავით, ვინ ფიქრობდა მაშინ დიდ პრემიებზე. ახლანდელი ახალგაზრდობა კი ამაზე საკმაო აქცენტს აკეთებს. იმის თქმა არ მინდა, რომ ეს არასწორია. ყოველივე ცხოვრებამ მოიტანა და ასეც რომ არ იყოს, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ადამიანმა თავისი შრომის შესაფერისი ანაზღაურება მოითხოვოს. მაგრამ ჩვენ სხვანაირად ვიყავით აღზრდილნი. მაშინ იდეოლოგიაც სხვა იყო და დასავლეთისკენაც არ გვეჭირა თვალი. ყველანი საბჭოთა მოქალაქეები ვიყავით და პატრიოტიზმის გრძნობა გვამოძრავებდა. სხვა მხრივ თუ განვსჯით, ნიჭით ახლანდელი თაობა ნაკლები ნამდვილად არ არის, შეიძლება გვჯობნის კიდეც. ხომ ხედავთ, რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი გვყავს იმის მიუხედავად, რომ საზღვარგარეთ ფიგურულ სრიალს უწინდელზე გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ, ჩვენი მოციგურავეები კი მაინც მოწინავენი არიან.

**— საზღვარგარეთ თუ გიწვევდნენ?**

— მიწვევდნენ, თანაც იმდენჯერ, ჩამოთვლა გამიჭირდება. ჯერ ჩემს პირველ მეწყვილესთან, მერე მეორესთან ერთადაც. იყო გარკვეული ცდუნებაც, მაგრამ განსაკუთრებული ნამდვილად არა. ალბათ იმიტომ, რომ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მენეჯერებს, რომლებიც გვეპატიჟებოდნენ და ოქროს მთებს გვპირდებოდნენ, იმასაც კი ვერ ვუხსნიდით, რომ ეს ჩვენს სურვილზე კი არა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან რამეზე იყო დამოკიდებული. უბრალოდ, ვამბობდით, რომ წასვლა არსად გვსურს, რადგან საბჭოთა კავშირი ჩვენი სამშობლოა.

**— თქვენ ერთადერთი ფიგურული მოციგურავე ქალი ბრძანდებით, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედლები ორ მეწყვილესთან მოიპოვა. თქვენთვის რომელი გამარჯვება იყო უფრო მნიშვნელოვანი: ალექსეი ულანოვთან თუ ალექსანდრ ზაიცევთან?**

— თავისთავად შეკითხვაა, ჩემი აზრით, არასწორი. გამარჯვებების ფასეულობას პარტნიორებით ვერ განვსაზღვრავ. ოლიმპიური მედალი ოლიმპიური მედალია, თანაც ოქროსი. მაგრამ უფრო კარგად პირველი და მესამე გამარჯვებები მახსენდება. პირველი ოქრო ულანოვთან ერთად მოვიპოვე. ეს ჩემი პირველი ოლიმპიური ოქრო იყო და თავი ზღაპარში მეგონა. ბოლო გამარჯვებას კი 1980-ში, ლეიკ-პლესიდში მივაღწიე, თანაც მაშინ უკვე 29 წლის ვიყავი, ფიგურული სრიალისთვის კი ეს საკმაოდ მოწიფული ასაკია. ასეთია ჩვენი სახეობის სპეციფიკა. ამასთან, ძალიან მინდოდა, კარიერა გამარჯვებით დამესრულებინა: ორგზის და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ხომ მართლაც სხვადასხვანაირად ჟღერს.

**— ალექსეი ულანოვი და ალექსანდრ ზაიცევი ის ადამიანები არიან, რომელთა გარეშე არ იარსებებდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ირინა როდნინა. რას გვეტყოდით მათ შესახებ?**

— გადავწყვიტე, ამ თემას საბოლოოდ დავადო ტაბუ. ერთი რომ, ეს აღარავის აინტერესებს, იმდენად ძველი ამბავია. მეორეც: არ მსურს, კვლავ დაიწყოს გაუთავებელი ჭორაობა. რამდენჯერაც ამ თემაზე რამე ვთქვი, დაუყოვნებლივ გამოაბეს კუდები და იქამდე გაბერეს ჭორები, რომ სანანებელი გამიხდა. ასე რომ, ალბათ სჯობს, თავი შევიკავო.

**— თქვენი ხანგრძლივი კარიერიდან საინტერესო ან კურიოზულ ამბავს ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— ამნაირები ძალიან ბევრი გადამხდენია, მაგრამ განსაკუთრებული ხალისით ერთ მათგანს ვიხსენებ. ჩეხოსლოვაკიაში დიდი საერთაშორისო ტურნირი იყო, ცნობილი მოციგურავეები ასპარეზობდნენ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ სავალდებულო პროგრამის ბოლო გამიცუდდა: ფეხი დამიცურდა, შევატყვე, ვეცემოდი და ალექსეიც ხელის შეშველებას ვერ ასწრებდა. უცბად ვიაზრე, რბილად მაინც დავეცემი-მეთქი, თითქოს ეს პროგრამით იყო გათვალისწინებული. ასეც გავაკეთე, მაგრამ ნაცად მსაჯებს, ცხადია, ვერაფერი გამოვაპარე, იქნებ გავალიზიანე კიდეც. მხოლოდ ერთმა მათგანმა, თუ არ ვცდები, ნორვეგიელმა, არტისტიზმის შეფასებისას უმაღლესი შეფასება მარგუნა, დანარჩენებისაგან მოკუთვნებული ქულები კი ბევრად უფრო დაბალი იყო. იმ არბიტრს შემდეგ განუცხადებია: ამაზე მეტი არტისტიზმი რაღა გინდათ, როდნინამ წამის მეათედებში მიიღო გადაწყვეტილება და ჩემს მიერ დაწერილი ნიშანიც ამან განაპირობაო. სამწუხაროდ, მისი მოსაზრება ყველამ არ გაიზიარა.

**— როგორი მწვრთნელია როდნინა?**

— ეს ალბათ ჩემს შეგირდებს უნდა ჰკითხოთ. ვთვლი, რომ სხვებზე უკეთესი თუ არა, უარესიც არ გახლავართ. ერთი ნაკლი მაქვს მხოლოდ: როდესაც ჩემების გამოსვლას ვუყურებ, ჭკუას ვკარგავ და გარშემო ვერაფერს ვამჩნევ. ხანდახან ისე აღელდები ხოლმე, წნევაც კი მიწევს. თუმცა ეს სხვებსაც ემართებათ.

**— საზღვარგარეთ სამუშაოდ რატომ არ მიდიხართ?**

— რამდენჯერმე კი ვიყავი მცირე ხნით მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არც გამოცდილების გამდიდრებაზე მითქვამს უარი, მაგრამ სამუდამოდ ან ხანგრძლივად წასვლა მაინც მიჭირს. თუ რატომ, ამაზე საუბრის დასაწყისში მოგახსენეთ: მე პატრიოტი ვარ და ისევ ძველი იდეოლოგიით ვცხოვრობ.

**იური ციგანიოვი**
**მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

კალათბურთი

# ...გურჯისტანი დააჩოქეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეორე ნახევარი ქართველებმა „ჩვეულად“ დაიწყეს: ხუთი წუთის შემდეგ უკვე 30 ქულას ვაგებთ — 30:60. ეს ძირითადად ერდანაის დამსახურება იყო. თურქი უკანახაზელი გუნდის ლიდერად მოგვევლინა და სნაიპერული სიზუსტის წყალობით უფრო და უფრო აწინაურებდა თავისიანებს. მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა — თურქეთი. ერდენაი და ქუთლუაი რიგრიგობით აგდებდნენ 3-იანებს. თურქჯანმა და თურქოღლუმ ზედიზედ სამი შეტევა ჩატენვით დაამთავრეს. ქართველები მათ ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ და საფინალო სასტვენის მოლოდინში ინერციითღა დარბოდნენ.

დამთავრდა მატჩი. „ათათურქი“ გუგუნებს. თურქეთი უზომოდ ბედნიერია. მათ გურჯისტანი დააჩოქეს.

–ქართველები თავჩაქინდრულნი ტოვებენ „ათათურქ სფორ სალონუ“-ს.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია არ ჩატარდა. სიმართლე გითხრათ, ბევრიც არაფერი მაინტერესებდა. გურასპაულს ერთი კი ვკითხე, ასე წაგებას თუ ელოდით-მეთქი. მან კი ხელი ჩაიქნია და მიპასუხა: წაგებას შეგუებულები ვიყავით, მაგრამ ასე თუ შევრცხვებოდით, არ მეგონაო. აღარ ჩავეძიე, დანარჩენი სხვა დროს იყოს-მეთქი და გავშორდი. თურქთა მწვრთნელი ერმან ქუნთერი ჟურნალისტებს ალყაში მოექციათ. მაგათი ენისა არაფერი გამეგება და ერთ-ერთ კოლეგას, ინგლისურს რომ ახლაფორთებდა, მოწიწებით ვთხოვე, მწვრთნელის აზრი ჩემთვის გაეზიარებინა.

— გამარჯვებაში დარწმუნებული ვიყავი. თურქული კალათბურთი ახლა აღმავლობის გზაზეა და შესუსტებულ ქართველებთან რატომ უნდა გაგვჭირვებოდა. მეორე ტაიმში ბიჭებმა ზედმიწევნით შეასრულეს ჩემი მითითებები და შედეგიც გამოჩნდა, თუმცა მაინცდამაინც კმაყოფილი არა ვარ. ასეთი თამაშით იტალიასთან გაგვიჭირდება — უთქვამს მწვრთნელს, რომელსაც ჯგუფში პირველობა ამოუჭრია გულში. ქართველებზე არაფერი უთქვამსო, დაამატა ჩემმა „თარჯიმანმა“ და იქაურობას სწრაფად მოცილდა.

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## თურქეთი 103:60 საქართველო

2 დეკემბერი. ბურსა. „ათათურქი“. პირველი ტაიმი 43:26

მსაჯები: მოშე ბიტონი (ისრაელი), ნიკოლა ლეპეტჩიჩი (იუგოსლავია)

| თურქეთი | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 ენე | 8 | 1/2 | 0/1 | 1/1 | 1 | 0 | 0 | 3 | 3 |
| 9 ერდენაი | 23 | 2/3 | 3/3 | 2/2 | 2 | 1 | 0 | 2 | 15 |
| 15 სარიჯა | 5 | 0/2 | 0/1 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| 6 თურქჯანი | 28 | 4/5 | 2/4 | 5/7 | 9 | 1 | 0 | 2 | 19 |
| 12 ბეშოქი | 18 | 4/4 | 0/0 | 4/4 | 9 | 0 | 1 | 1 | 12 |
| 5 თურქოღლუ | 34 | 7/12 | 0/1 | 2/3 | 5 | 4 | 0 | 2 | 16 |
| 4 თუნჩერი | 32 | 3/5 | 1/1 | 0/0 | 3 | 5 | 0 | 1 | 9 |
| 10 ქუთლუაი | 23 | 2/6 | 2/5 | 7/8 | 1 | 3 | 0 | 2 | 17 |
| 11 დალი | 15 | 4/6 | 0/0 | 0/0 | 2 | 3 | 1 | 2 | 8 |
| 13 ოქური | 14 | 1/1 | 0/0 | 2/2 | 2 | 2 | 0 | 1 | 4 |
| სულ | 200 | 28/46 | 8/16 | 23/27 | 35 | 19 | 2 | 17 | 103 |

| საქართველო | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 ძლენტი | 26 | 1/1 | 1/2 | 0/2 | 2 | 3 | 0 | 2 | 5 |
| 15 ჩხეიძე | 37 | 7/11 | 1/1 | 1/2 | 1 | 2 | 0 | 0 | 18 |
| 5 ბოისა | 31 | 2/5 | 0/3 | 0/0 | 5 | 0 | 0 | 5 | 4 |
| 13 გ. ნაცვლიშვილი | 27 | 3/6 | 0/1 | 0/3 | 5 | 2 | 1 | 3 | 6 |
| 12 ჯაფარიძე | 35 | 5/11 | 1/4 | 1/2 | 5 | 1 | 2 | 4 | 14 |
| 14 მაისურაძე | 11 | 1/2 | 0/1 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 4 | 2 |
| 4 ოთიურიძე | 28 | 4/7 | 0/2 | 3/3 | 4 | 1 | 2 | 2 | 11 |
| 7 გაგნიძე | 3 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| 8 ბ. ნაცვლიშვილი | 2 | 0/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 |
| სულ | 200 | 23/46 | 3/14 | 5/12 | 24 | 11 | 6 | 22 | 60 |

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 2 დეკემბერი

A ჯგუფი

ბულგარეთი 83:105 საბერძნეთი
სლოვენია 80:57 სლოვაკეთი
გერმანია 79:70 ბელგია

B ჯგუფი

პოლონეთი 91:64 რუმინეთი
მაკედონია 75:63 პორტუგალია
უნგრეთი 60:59 რუსეთი

C ჯგუფი

ბელარუსი 79:93 ესპანეთი
უკრაინა 66:60 ინგლისი
ისრაელი 67:63 დანია

D ჯგუფი

ბოსნია 68:60 ჰოლანდია
ესტონეთი 60:91 ლიტვა
ხორვატია 111:77 ისლანდია

E ჯგუფი

ლატვია 60:73 ჩეხეთი
შვედეთი 82:75 იტალია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 8 | 7 | 1 | 634:523 | 15 |
| იტალია | 8 | 6 | 2 | 650:541 | 14 |
| ჩეხეთი | 8 | 5 | 3 | 588:601 | 13 |
| შვედეთი | 8 | 4 | 4 | 626:645 | 12 |
| ლატვია | 8 | 2 | 6 | 597:620 | 10 |
| საქართველო | 8 | 0 | 8 | 525:690 | 8 |

წყალბურთი

## ხორვატებს ჩომახიძე უნდათ ქართველებს წყალბურთი — არა

გუშინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზეთ თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორის ირაკლი ჯაფარიძის მონათხრობი ახლახან ზაგრებში გამართულ იუნიორ ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბატონი ირაკლი ოთხი წელი მუშაობდა ხორვატიაში და ამ ხნის მანძილზე იქ უამრავი ნაცნობ-მეგობარი გაიჩინა. ჰოდა, ერთი საინტერესო ამბავიც გვიამბო: მის ხორვატ მეგობრებს მისთვის უთხოვიათ, ქართველ წყალბურთელ რეზო ჩომახიძეზე, ამჟამად მოსკოვის „დინამოში“ რომ თამაშობს და რუსეთის ნაკრების ლიდერია, ლეგენდები დადის. ეგეთი კაცისთვის არაფერს დავიშურებთ, იქნებ ჩომახიძესთან გვიშუამდგომლო, რომ ხორვატიის ნაკრებში გადმოვიდესო.

ბედის ირონიაო, ამაზეა ნათქვამი: ჩვენ ჩვენსას ვერ მოვუარეთ და ახლა მის გამო სხვები ეცილებიან ერთმანეთს. თუმცა რა გასაკვირი ეს არის: ჩომახიძე ხომ დავკარგეთ და, აგერ, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებიც ლამისაა დაიშალოს. გუნდს რომ სათანადო ყურადღება აკლდა და სავარჯიშოდ ელემენტარული პირობები არ ჰქონდა, ამაზე არაერთხელ გვითქვამს. ნაკრების მთავარ მწვრთნელს გელა ტუკვაძეს უილაჯობით მოთმინების ფიალაც ავსებია და ნაკრებიდან წასვლა გადაუწყვეტია — წყალბურთი საქართველოში არავის აინტერესებს და სხვა რა ვქნა, რა ვილონოო, გვითხრა გულგატეხილმა ტუკვაძემ.

სოსო კოტორეიშვილი

ჰოკეი



ოტაველ რადეკ ბონკთან ნეშვილის მეკარე ერიკ ფიშო ვერას გახდა — გოლი უეჭველია

## ჯადოქარი

NHL

1 დეკემბერი

**რეინჯერსი — ფლორიდა 5:4**

0:2 2:1 2:1 1:0

0:1 განიე 3'38 (4); 0:2 დვორჟაკი 12'44 (4); 1:2 გრეცკი 24'02 (4); 2:2 მაკლინი 31'26 (9); 2:3 პერიში 34'30 (10); 3:3 გრეივსი 44'47 (9); 3:4 კვაშა 47'26 (4); 4:4 ლიჩი 59'59 (5); 5:4 გრეივსი 62'10 (10)

ძირითადი დროის დამთავრებამდე ათიოდ წამიღა რჩებოდა, როცა მსაჯებმა შაიბის ცენტრალურ ზონაში ჩაგდება დანიშნეს. მასპინძელთა იმედდაკარგულმა მწვრთნელმა ჯონ მაკლერმა მეკარეც კი არ შეცვალა მეექვსე მოთამაშით, განაწყენებული მაყურებელიც უკვე გასასვლელებისკენ დაიძრა, რომ... ჯადოქარი გრეცკი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. მან ეს უმცირესი დროც გამოიყენა, რათა სასწაული მოეხდინა. „დიადმა“ ჩაგდება მოიგო, შაიბა მეტოქის ზონაში გაგზავნა, მერე თავადვე პირველმა მიუსწრო, შესანიშნავადაც გადასცა ცარიელ კართან მდგარ ბრაიან ლიჩს, რომელმაც, რა თქმა უნდა, ეს ფანტასტიკური შანსი ხელიდან არ გაუშვა. ეს ყველაფერი ძირითადი დროის ბოლოსწინა წამამდე მოხდა. გალცებულმა „პანტერებმა“ ოვერტაიმში მეტოქეს სამი მომენტიც შეაქმნევინეს და საბოლოოდ ადამ გრეივსმა „რეინჯერებს“ ესოდენ საჭირო ორი ქულა მოუტანა. „დიადმა“ საბოლოო ჯამში 1 გოლი და 2 პასი მიითვალა.

**პიტსბურგი — ანაჰაიმი 4:4**

1:2 2:0 1:2 0:0

0:1 გრინი 3'11 (3); 0:2 ოლაუსონი 12'02 (2); 1:2 ჰეჩერი 16'48 (3); 2:2 იაგრი 38'42 (6); 3:2 იაგრი 32'58 (7); 3:3 რუჩინი 41'26 (7); 3:4 გრინი 50'47 (4); 4:4 სტრაკა 51'59 (14)

ეს იყო დიდებული მატჩი. საცოდაობა იქნებოდა, ასეთი ლაღი, კომბინაციური თამაში გოლეადორებს გასცუდებოდათ და ქულათა მარაგის შევსების ჩინებული შესაძლებლობა ხელიდან გაეშვათ. განსაკუთრებით თითქოს სუპერჩეხ იარომირ იაგრსა და „ფინელ მსროლელ“ ტეემუ სელიანეს გაეხსნათ ხელ-ფეხი: პირველმა, როგორც იქნა, შეწყვიტა უგოლო სერია და ზედიზედ 2 შაიბა გაიტანა, თანაც ერთმანეთზე უკეთესი, რასაც 2 პასიც დაამატა. სელიანემ კი პირადი რეკორდი გაიმეორა და ოთხივე საგოლე კომბინაციაში იასისტენტა

**ნეშვილი — ოტავა 1:3**

0:2 0:1 1:0

0:1 რედენი 5'06 (3); 0:2 ბონკი 13'01 (6); 0:3 ალფრედსონი 24'53 (2); 1:3 ჯონსონი 52'26 (4)

ოტავის ერთ-ერთ ლიდერ დანიელ ალფრედსონს ტრავმები ხშირად აწუხებს, მაგრამ ახლა იგი ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ „სენატორებს“ ორი ძლიერი სამეული ეყოლებათ. ამჯერადაც სწორედ შვედის ევროპულმა სამეულმა იმარჯვა, რომელშიც მის თანამემამულე ანდრეას იოჰანსონთან ერთად ცენტრში ჩეხი რადეკ ბონკი თამაშობს. თავად ალფრედსონმა სეზონში პირველად 2 (1+1) ქულა დააგროვა.

**ბოსტონი — ვანკუვერი 1:1**

0:1 1:0 0:0 0:0

0:1 მესიე 13'27 (10); 1:1 სამსონოვი 39'31 (9)

**ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი 0:4**

0:2 0:1 0:1

0:1 არნოტი 5'29 (5); 0:2 პანდოლფო 7'39 (7); 0:3 პედერსონი 32'30 (4); 0:4 ჰოლიკი 41'09 (5)

სამველ ლარიბიანი

## თვის მოთამაშე

ერიკ ლინდროსი (ფილადელფია)

სამშაბათს ნოემბრის საუკეთესო მოთამაშედ ფილადელფიის კაპიტანი ერიკ ლინდროსი დაასახელეს. „მფრინავთა“ საუკეთესო ჰოკეისტმა ეს წოდება 12 მატჩში გატანილი 5 გოლით, 17 პასითა და ნაყოფიერების „+12“ კოეფიციენტით დაიმსახურა. ერიკი განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც გუნდში ექსკოლორადოელი კიტ ჯოუნსი მივიდა — იმ დღიდან, 13 ნოემბრიდან გამართულ ზედიზედ 7 შეხვედრაში მას არც ერთხელ არ დაუტოვებია მოედანი უქულოდ და ამჟამად 33(12+21) ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.



ლინდროსის გარდა თვის ლაურეატობის კანდიდატები იყვნენ ფინიქსელი მეკარეები ნიკოლაი ხაბიბულინი და ჯიმი უეიტი, მათი ბუფალოელი კოლეგა დომინიკ ჰაშეკი, ჩიკაგოელი ფორვარდი ტონი ამონტე და ლინდროსის მუდმივი პარტნიორი ჯონ ლეკლერი. ეს სეზონი ლინდროსის კარიერში მეშვიდეა, ამათგან საუკეთესოდ ჯერჯერობით 1995-96 წლები ითვლება, როცა თავდამსხმელმა 115 ქულა დააგროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

**მაინცი 2:2 კიკერსი**
0:1 მარიჩი (25), 1:1 კრამნი (29), 2:1 ტანჯა (50), 2:2 ვინკლერი (81)

თასის მეოთხედფინალი

**ზიგენი 1:3 ვოლფსბურგი**
0:1 იუსკოვიაკი (6), 1:1 ჩირბა (22), 1:2 იუსკოვიაკი (45), 1:3 რეინა (63)

**ობერჰაუზენი 2:0 გლადბახი**
1:0 ტობორგი (71), 2:0 ვებერი (83)

**ვერდერი 2:1 (დ.დ.) ბერლინი**
0:1 ციკლერი (10), 1:1 ჰ. ფლო (86), 2:1 ვოიტალა (108)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

**ნორვიჩი 1:0 გრიმსბი**
1:0 ადამსი (11)

**ქუინზ პარკი 1:0 იფსვიჩი**
1:0 გალენი (57)

თასის მეოთხედფინალი

**ტოტენჰემი 3:1 მანჩესტერი**
1:0, 2:0 არმსტრონგი (48, 55), 2:1 შერინგემი (71), 3:1 ჟინოლა (86)

**ლესტერი 1:0 ბლექბერნი**
1:0 ლენონი (67)

## ჰოლანდია

**კამბური 1:1 უტრეხტი**
1:0 დიკჰუიზენი (29პ), 1:1 მოლსი (71)

**ნაიმეგენი 3:1 სპარტა**
1:0 რენფარმი (7), 2:0 დე გიერი (24), 2:1 იალინკი (41), 3:1 დე გიერი (51)

**ალკმაარი 1:0 როდა**
1:0 მუტსერსი (33)

## იტალია

მეოთხედფინალი
პირველი მატჩი

**ატალანტა 3:2 ფიორენტინა**
0:1 რუსტიკო (8ს.კ.), 1:1 ტორიჩელი (29ს.კ.), 1:2 ედმუნდო (34), 2:2 როსინი (65), 3:2 კარერა (83)

## თურქეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

**ერზურუმი 2:1 სამსუნი**

**საქარია 0:3 ალთაი**

**გენჩლერბირლიგი 2:2 ისთანბული**

**გაზიანთეფი 3:1 ტრაბზონი**

**ბეშიქთაში 10:0 ქორლუ**

**ქარაბუქი 1:4 ქოჯაელი**

# 100 მეტრი ჯენისაა

ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოცურავემ ჯენი ტომპსონმა 100 მეტრზე ცურვის თავისივე მსოფლიოს რეკორდი დაამხო ტეხასის ქალაქ კოლეჯ სთეიშენში მიმდინარე მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე.

ტომპსონმა 56.40 წამი მოანდომა 100 მეტრის გაცურვას. წინა რეკორდი, 1997 წლის აპრილში რომ დაამყარა, 57,79 წამი იყო.

„ვიცოდი, რომ კარგად გავცურე, მაგრამ რეკორდზე არ მიფიქრია" — თქვა გამარჯვებულმა.



მერიონ ჯონსის (შუაში) დამწევი ჯერ არავინ ჩანს

# ჯონსი ლაურეატია, გოდინაც

მსოფლიოს თასის მომგებნი, ქალთაგან მერიონ ჯონსი და მამაკაცთაგან ჯონ გოდინა გამოცხადდნენ ჯესი ოუენსის მემორიალის წლევანდელ ლაურეატებად.

გოდინამაც და ჯონსმაც ხუთ-ხუთ კონკურენტ მძლეოსანს აჯობეს და ეს უაღრესად საპატიო ჯილდო მოიპოვეს. სპრინტერი და სიგრძეზე მხტომელი ჯონსი ზედიზედ მეორე წელიწადია ეუფლება ჯესი ოუენსის მემორიალს. წლეულს 23 წლის ჯონსი დაუმარცხებელი იყო 100 და 200 მეტრზე რბენაში. ის მეორე იყო სიგრძეზე ხტომაში ამერიკის ჩემპიონატზე და პირველი ამერიკელი ქალი გამოდგა საუკუნის მეორე ნახევარში, სამ სახეობაში რომ დაეუფლა მედალს.

26 წლის ბადროს მტყორცნელი და ბირთვის მკვრელი გოდინაც დაუმარცხებელი იყო წლევანდელ სეზონში. ამიტომ ჯესი ოუენსის მემორიალი კვლავაც ნაღდ ვარსკვლავთა ხელშია.



ჯონ გოდინა ბირთვსაც ჰკრავს და ბადროსაც შორს სტყორცნის



ტოტენჰემი — მანჩესტერი. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ტედი შერინგემი (მარცხნივ) და დარენ ანდერტონი ერთმანეთის წინააღმდეგ თავდადებულად იბრძოდნენ

# სერიალი გრძელდება: ტაისონი სასამართლოში

მაიკ ტაისონი რინგს კი დაუბრუნდა, მაგრამ სასამართლოს მაინც ვერ გადარჩა. მალე მოკრივე და მისი ვექილი პოლ კემპი მერილენდის შტატის სასამართლოში უნდა გამოცხადდნენ.

ალბათ ბევრს ახსოვს, რომ გასული აგვისტოს უკანასკნელ დღეს მერილენდის შტატის ქალაქ ვეითერსბერგის ახლოს სამი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს. ამ სამიდან ერთ-ერთს ტაისონის მეუღლე მონიკა მართავდა, მაიკი კი ცოლს ეჯდა გვერდით. ავარია მსუბუქი იყო, მაგრამ მძღოლებმა, 62 წლის ამბიელეკ სოსედომ და 50 წლის რიჩარდ ჰერდიკმა იჩივლეს, მაიკმა ჩვენთვის წიხლი და სილაქი არ დაინანაო.

საქმეც ამის გამო აღიძრა, თუმცა ვექილი კემპი აცხადებს, რომ მაიკს თავის მართლებაც არა სჭირდება. „თუკი რაიმე მოხდა იქ" — ამბობს კემპი — „ალბათ იმიტომ, რომ ხსენებულმა მძღოლებმა არც კი მოუბოდიშეს მონიკას და პირიქით იქაჩებოდნენო".

მძღოლთა საქმე ცნობილია — მაიკი სახელგატეხილი და შანტაჟისთვის მომგებიანი კაცია და მისთვის ჩივილი გამდიდრების საშუალებას იძლევა.




# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29